პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეორმოცთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 27 ივნისი, 1950 წ. № 136 (8696). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას — „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).

მდგომარეობა კორეაში (1-ლი გვერდი).

მოსკოვში გაიხსნა მ. ი. კალინინის მუზეუმი (1-ლი გვერდი).

მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის აღებისა და წარმოებაში დანერგეთ ავრეთვე კოლმეურნეთა, მტაცებლისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა ავრო-ზოოტექნიკური ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება. სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დაგალილია ფართო მოღვაწეობის ასპარეზი. 25 წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა სიტყვაში სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ აღნიშნა: „საჭიროა, რომ სოფლის ახალგაზრდობის აქტივი მომარაგებულ იყოს პოპულარული ბროშურებით აგრონომიისა ელექტროტექნიკა სოფელეკონომიის შესახებ. საჭიროა, რომ ეს აქტივი სწავლობდეს სოფლის მეურნეობას, ეცნობოდეს მისი გაუმჯობესებლის ღონისძიებებს და შეეძლოს კლეხანთვის ამ დარგში საჭირო ცნობების მიწოდება“. სოფლის კომკავშირელები მოავლენი არიან აქტიური პროპაგანდა გაუწიონ და წარმოებაში დანერგონ მეცნიერების მიღწეევები და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება.

კომკავშირი დიდი ძალაა კულტურულ მშენებლობაში. ჩვენს ქვეყანაში თითქმის მთელი ახალგაზრდობა სწავლობს. სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იბრძოლონ თანამედროვე მეცნიერების საფუძვლების ღრმა და ტაბაცე ცოდნისათვის, მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის კადრების მოამზადებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობას უალრესად ინტერესებს პოლიტიკური ცხოვრების ყველა მოვლენა. საჭიროა ყოველდღიურ გავალიერთოდ საგაკეთილო მასობრივი შუმაობა ახალგაზრდობის ყველა ფენაში, სისტემატიურად გავაცნოთ ახალგაზრდობას საშინაო და საერთაშორისო ცხოვრება, ჩავაბათ იგი ყველა პოლიტიკური კამპანიის მოწყობაში.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ სწორად მივაწყოთ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა. იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიის გადაწყვეტილებებში მთელი ძალონ არის ალნიშნული, რომ საბჭოთა წყობილება ვერ მოითმენს უიდეობისა და აპოლიტიკურობის სულისკვეთებით ახალგაზრდების აღზრდას. პარტიული ორგანიზაციების დაბარებრმთ ამ ეკანონმიერ დროს გაუმჯობესდა ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლება. პარტიულ პროპაგანდისტთა უდიდესი არძილ მუშაობს კომკავშირულ პოლიტწრეკებსა და სკოლებში. მაგრამ ახალგაზრდობაში პროპაგანდისტულ მუშაობას ჯერ კიდევ ანასიათებს ფორმალიზმი, კუსტარულობა, სკოლარულობა, უფიურულობა.

პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, წარმართონ და კონტროლი გაუწიონ კომკავშირული ორგანოების მუშაობას, ასწავლონ კომკავშირულ კადრებს ხელმძღვანელობის ხელოვნება, აღზარდონ ისინი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ფორმალიზმის, აწყალოვნოულობის, ადმინისტრირების გამოვლინებას კომკავშირულ კომიტეტების მუშაობაში, ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციების მეთელი ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდა ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით უმნიშვნელოვანესი საერთო პარტიული საქმეა. ეა რატომ უნდა იყოს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში კომკავშირის მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საკითხები.

„პრავდის“ 26/VI მოწინავე

ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი, როგორც ასეა აწრთობის და ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, გაიზარდა მოწიფოვეა საბჭოთა ახალგაზრდობის მრავალფეროვნად ორგანიზაციად. კომკავშირი პარტიის ერთგული და აქტიური თანაშემწეა მთელ სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში, პარტიის სამეფო რეზერვი.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ კომკავშირი მუშა და ვლეში ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაციაა, არაპარტიული ორგანიზაციაა, მაგრამ ეფექტური პარტიის. მისი ამოცანაა დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირმა გამოზარდა მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი.

ახლანდელ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს წყვეტს, უფრო მეტად იზრდება კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. კომკავშირმა ახალგაზრდობაში უნდა აღზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, თავის ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელეს დაძლევისათვის მზადმყოფი მებრძოლები ჩვენი სამშობლოს თავგანწირულებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია კომკავშირის მთელ მუშაობაში. ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირი ვერ შეასრულებს თავის ძირითად ამოცანას — კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდას. ხელმძღვანელობენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებით, პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

წელს ჩატარებულმა პარტიულმა კონფერენციებმა ცხადყვეს კომკავშირის მუშაობისადმი პარტიული ორგანიზაციების გაზრდილი ყურადღება, დეკანგატების გამოსვლებსა და პარტიული კონფერენციების გადაწყვეტილებებში ალნიშნული იყო, რომ საჭიროა სერიოზულად გაუმჯობესდეს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, ამაღლდეს ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონე. ამ უკანასკნელ დროს კომკავშირული ორგანიზაციების, მუშობისა და ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები განხილული იყო საკავშირო კ. კ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, ავრეთვე რისტოვის, ბაშკირეთისა და მთელი რიგი სხვა სოფლო კომიტეტების პლენუმებზე, კარელია-ფინეთის სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ჯერ კიდევ ყველაზე რიდი იჩენენ პარტიული ორგანიზაციები სათანადო ზრუნვას კომკავშირის მუშაობისადმი. სტავროპოლის მხარის მთელ რიგ რაიონებში უყურადღებოდ არის მატერიალური ახალგაზრდობასთან მუშაობა, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციები მცირერიცხოვანი არიან და ინიციატივას არ იჩენენ კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაში, სუსტად არის დაყენებული ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმე. საკავშირო აღკ. სამხარეო კომიტეტი ცოდად არის დაკავშირებული კომკავშირის პრიველად ორგანიზაციებთან და რაიკომებთან, მის მუშობაში სჭარბობს ხელმძღვანელობის კანცელარიული მეთოდები, არის კრიტიკის ჩახშობის ფაქტები. ამავე დროს პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტი დიდნაწილ ვერ ამჩნევდა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის დიდ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი დროდადრო იმაზე კომკავშირული ორგანიზაციების მოხსენებებს. მაგრამ ასეთი განხილვა დიდი საჭიროებაა არ მოაქვს, თუ საქმეს მიეფდება ფორმალურად, ზეოლეად, ისე, რომ ღრმად არ შეისწავლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. ასეთ შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილებანი ზოგადი, დეკლარაციული ხასიათისაა. კერძოდ, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის ასეთი ნაკლოვანებანი აღნიმოღული იყო კარელიო-ფინეთის სსრ კომპარტიის ცესტრალური კომიტეტის პლენუმზე. ისეც ხდება, რომ პარტიული კომიტეტი ოღეს კარგ, კონკრეტულ გადაწყვეტილებას, მაგრამ არ ფუოოს კოტროლს მისი შესრულებისადმი. მაგალითად, პარტიის ოდესის საქალაქო კომიტეტმა წლის დამდეგს განიხილა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი და დასახა ფთელი რიგი ღონისძიებანი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ საქალაქო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულება ამ ბოლო დროსდე არ შემოწმებულა, ხოლო საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ბევრი ნაკლი ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის.

კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ნაკლოვანი ის, რომ ბევრ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს უმეცრო კავშირი არა აქვს ახალგაზრდობასთან, ცუდად იცნობს მის ცხოვრებას, მის მოთხოვნებს. ზზრიალ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელები ცხოელ ინტერესს არ იჩენენ ახალგაზრდების აღზრდისა და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებისადმი, სჯერდებიან ახალგაზრდობის ცხოვრების ზერელედ გაცნობას კომკავშირული ანარეკლების ანგარიშებისა და ინფორმაციის მიხედვით.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან ოვზარდთან ახალგაზრდობა ზრომაში, კომეფნილიერი მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. „კომეფნილიერი ახალგაზრდობის კავშირი,—აღნიშნავდა ლენინი, — უნდა იყოს დიდკერული ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობას გაუწევს დახმარებას, გამოიჩენს ინიციატივას, თაოსნობას“.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი სწორი ხელმძღვანელობა ნიშნავს დაკარაზმით ნორმ პატრიოტთა ძალები თავდადებული ზრომისათვის სამშობლოს სამშობლოს ასაკვეკვნელად, კომეფნილმის გასამარჯვებლად. კომკავშირელები, ახალგაზრდა მუშები მრეველობაში, ტრანსპორტსა და ახალ მშენებლობებზე მოწოდებული არიან იყვნენ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელოვა პირველ რიგებში, დაეუფლონ ახალ ტექნიკას, მიაღწიონ ზრომის მაღალ ნაყოფიერებას, იბრძოლონ ნელეულოსა და მასალების მომეჩენრეობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული სოფლის კომკავშირის წინაშე. სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები პარტიულ ორგანიზაციების მებრძოლი თანაშემწენი უნდა იყვნენ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდერების მოსავლიანობის გადიდებისა, სამოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის შესრულების საქმეში. სოფლის კომკავშირიულის დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს წარიან კოლმეურნეობათა განსაზღვრის სამეშაოს შესრულებაში.

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა აკრონომიული მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების პრობაგანდა და წარმოებაში დანერგვა. ავრეთვე კოლმეურნეთა, მტაცებლისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაოთა ავრო-ზოოტექნიკური ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება. სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დაგალილია ფართო მოღვაწეობის ასპარეზი.

25 წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა სიტყვაში სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ აღნიშნა: „საჭიროა, რომ სოფლის ახალგაზრდობის აქტივი მომარაგებულ იყოს პოპულარული ბროშურებით აგრონომიისა ელექტროტექნიკა სოფელეკონომიის შესახებ. საჭიროა, რომ ეს აქტივი სწავლობდეს სოფლის მეურნეობას, ეცნობოდეს მისი გაუმჯობესებლის ღონისძიებებს და შეეძლოს კლეხანთვის ამ დარგში საჭირო ცნობების მიწოდება“. სოფლის კომკავშირელები მოავლენი არიან აქტიური პროპაგანდა გაუწიონ და წარმოებაში დანერგონ მეცნიერების მიღწეევები და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება.

კომკავშირი დიდი ძალაა კულტურულ მშენებლობაში. ჩვენს ქვეყანაში თითქმის მთელი ახალგაზრდობა სწავლობს. სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იბრძოლონ თანამედროვე მეცნიერების საფუძვლების ღრმა და ტაბაცე ცოდნისათვის, მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის კადრების მოამზადებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობას უალრესად ინტერესებს პოლიტიკური ცხოვრების ყველა მოვლენა. საჭიროა ყოველდღიურ გავალიერთოდ საგაკეთილო მასობრივი შუმაობა ახალგაზრდობის ყველა ფენაში, სისტემატიურად გავაცნოთ ახალგაზრდობას საშინაო და საერთაშორისო ცხოვრება, ჩავაბათ იგი ყველა პოლიტიკური კამპანიის მოწყობაში.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ სწორად მივაწყოთ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა. იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიის გადაწყვეტილებებში მთელი ძალონ არის ალნიშნული, რომ საბჭოთა წყობილება ვერ მოითმენს უიდეობისა და აპოლიტიკურობის სულისკვეთებით ახალგაზრდების აღზრდას. პარტიული ორგანიზაციების დაბარებრმთ ამ ეკანონმიერ დროს გაუმჯობესდა ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლება. პარტიულ პროპაგანდისტთა უდიდესი არძილ მუშაობს კომკავშირულ პოლიტწრეკებსა და სკოლებში. მაგრამ ახალგაზრდობაში პროპაგანდისტულ მუშაობას ჯერ კიდევ ანასიათებს ფორმალიზმი, კუსტარულობა, სკოლარულობა, უფიურულობა.

პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, წარმართონ და კონტროლი გაუწიონ კომკავშირული ორგანოების მუშაობას, ასწავლონ კომკავშირულ კადრებს ხელმძღვანელობის ხელოვნება, აღზარდონ ისინი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ფორმალიზმის, აწყალოვნოულობის, ადმინისტრირების გამოვლინებას კომკავშირულ კომიტეტების მუშაობაში, ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდა ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით უმნიშვნელოვანესი საერთო პარტიული საქმეა. ეა რატომ უნდა იყოს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში კომკავშირის მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საკითხები.

„პრავდის“ 26/VI მოწინავე

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★

მოსავლის ასაღები ახალი მანქანები

ბრიანსკი. 24 ივნისი. ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეობათა ყანებში მოსავლის კარგი პირი უჩანს. წელს უხვი მოსავლის მოყვანისათვის ყველა პირობა იყო: გაზაფხულის ფაფუკსაზიანდანვე რეგულარულად მოდიოდა წვიმა, თუსა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულდა. ყანები ახარეს ბრიანსკელ კოლმეურნეებს. შემოდის ჭვავი, კარგად იზრდება ხორბალი, შერია. განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს ცანდაფსა და სელს. ამ უძვირფასეს ტექნიკურ კულტურებს აქ დიდი ფართობებზე თესავენ.

ახლა ოლქის კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მოსავლის აღებისათვის ემზადებიან. ოლქში შემოკავეთ მრავალი სამყალი და მარცვალსაწმენდი მანქანა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მიიღებენ ოთხსაფეიდე თვითმავალ კომბაინს, სელის ასაღებ კომბაინს, „ჟკ-1100“ მარკის რთულ სალეწ მანქანებსა და კანაფის სალეწებს. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ორტლებიის, უმრავლესობამ წელს შეიძინა ცხენით მოძოშავე მოსავლის ასაღები სალეწი და სანიაველი ახალი მანქანები. **(„პრავდა“).**

ყურძენი ჩრდილოეთ განედის 57-ე პარალელზე

კალინინის ოლქის ქალაქ კალინინის მცხოვრებმა, მეფილმა მიჩურინელმა ა. ვ. როდიტსევმა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში სიტერატურო მოხსენება გააკეთა ჩრდილოეთ განედის 57-ე პარალელზე ყურძნის მოყვანის შესახებ.

ა. ვ. როდიტსევსმ თავისი სიცოცხლის 18 წელი ბუნების დიდი გარდაქმნელის ი. ვ. მიჩურინის ირეკთან მოაბმარა ჩრდილოეთის პირობებში ყურძნის მოყვანის შესწავლას. მრავალი წლის ექსპერიმენტების შემდეგ ა. ვ. როდიტსევსკის ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. უკეე რამდენიმე წელია მას თავის ბაღში მოაჩყვს ყურძენი, რომელიც ბემოთი სამხრეთისას არ ჩამოუვარდება.

ვაზი როდიტსევსკის ბაღში ზამთრობით მსუბუქად არის დაფარული. განსაკუთრებით სამაინი ყო წლეებიდან ზამთარი, როცა დიდხანს 30-40 გრადუსი ყინვა იყო. მაგრამ როდიტსევსკის ვაზმა ბაოვლო ამ სასტიკ გამოცდას და თითქმის არ დაზარალებულა. ახლა ვაზმა ყვავილობა დაამთავრა. მოსავალს კარგი პირი უჩანს. (საკდესი).

იშვიათი მონეტები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სახელმწიფო შემსყიდველმა კომისიამ შეიძინა მონეტებისა სანტტერესო კოლექცია.

დიდ სამეცნიერო-კვლევითს ინტერესს წარმოადგენენ ბერძენ ოქროთა ბიზანტიური ოქროს მონეტები. ერთი მაგალი ვანეკუთვნება იმპერატორ კონსტანტინე IV-ის პერიოდს (ჩვენი წელთაღრიცხვის 668-685 წლები). იგი ბანეკნილა ქერჩში მიტრიდატის მთაზე. მეორე მონეტი იმპერატორ პეროკელის პერიოდისაა (ჩვენი წელთაღრიცხვის 610-641 წლები). (საკდესი).

მოსკოვში გაიხსნა მ. ი. კალინინის მუზეუმი

საბჭოთა ხალხი წმიდად ინახავს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მეხელი ივანოსაკენ კალინინის ნათელ ხსოვნას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოსკოვში შეიქმნა მუზეუმი, რომელიც ასახავს დიდი რევოლუციონერისა და სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

23 ივნისს ახალი მუზეუმი გიახსნა საზეიმო ვითარებაში. ნაშუადღეევის 5 საათისათვის ვრეკელ, მარმარილოთი მოპირკეთებულ ვესტიბიულში შეიკრიბა ღელდაკლაქის ასობით მშრომელი, დამსწრენთ შორის ირიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, მ. ი. კალინინის მეუღლე ეკატერინე ივანეს ასული და მეხელი ივანეს-ძის სხვა ნათესავები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოსკოვის სწორმოთა სტახანოველები, მეცნიერებანი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

დამსწრეთ მოკლე სიტყვით მიმართა რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებელი დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ი. ლეონტიევმ.

— მუზეუმში, რომელიც დღეს გაიხსნა,—თქვა მან,—მოწოდებულია უკვდავყოს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მეხელი ივანეს-ძე კალინინის ხსოვნა, რომელმაც მთელი ცხოვრება განუყოფელად დაუკავშირა ხალხს და კომეფნისმის საქმისათვის გმირულ სამსახურს.

ამხ. ლეონტიევამ მოკლედ ილაპარაკა მ. ი. კალინინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

ამხ. ლეონტიევამ გადაჭრა ლენტი, და პირველი მნახველები შეეიჭნენ ახალი მუზეუმის დარბაზებში. (საკდესი).

ნავთის მოპოვების ტექნოლოგია უმჯობესდება

ამას წინათ ბაქონში ვიმართა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკთა და ინეენერიტექნიკოსთა წარმომადგენლების საკავშირო თათბირი, რომელზეც ანალიზელულ იქნა ნავთის ჰაპტრეილების ექსპლოატაციის შემდგომი გაუმჯობესების და ნავთობის მოპოვების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის საკითხები.

თათბირზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობას ტექნიკური აღჭურვილობით და აგრეთვე მოპოვებითი ტექნიკის მიხედვით მსოფლიოში მოწინავეა ადგილი უკავია. ამა ამოცანა ისაა, რომ საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის მუშაკებმა შემდგომი გაუუჯობესებანი შეიტანონ თავიანთ მუშაობაში, დანერგონ მუშაობის ახალი მეთოდები. ერთ-ერთი ასეთი ახალი მეთოდია ნავთობის სიღრმიდან ამოტეტმა, რისთვისაც საჭიროა ახალი გაუმჯობესებული სატუმბავი დანადგარები.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს კუბანშეეეს, ფთა ა ბნის, უკაინის, კრასნოდარის ნავთის სამრეწველო გაერთიანებათა წარმომადგენლები და ნავთის მრეწველობის მანქანათმშენებელი ქარხნების ხელმძღვანელნი ამუშაკნმ.

თათბირმა განიხილა და შეისწავლა ნავთის მოპოვების საკითხთან დაკავშირებული 26 მოხსენება და დასახა ღონისძიებები მთელ რიგ ახალ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებათა განსაზორციელებლად. **(საკ. კორ.).**

ახალი მინწარაღული წყლები

უახლოეს წლებში ჩვეეირად დადიდდება საკავშირალო მინერალური წყლების გამოშვება. ამ მიზნით ფართოდ იქნება გამოყენებული ადგილობრივი მნიშვნელობის წყარონი. მათ შორის: „ლესტოჩკა“ — ზოვისპირეთის მხარეში, დარსსენი და ზივანდა — ჩიტის ოლქში, ბოდამლისა — აზერბაიჯანში, ქვეყნ სეკვინა — ურალში, ტრუსკავეკის კურორტის „ნაფტუსია“ და „სოფია“ — დრაგობიჩის ოლქში, ჯერმუკა — სომხეთში, „საირმე“ — საქართველოში.

ამ წყარეთაგის ნარზანის, ესენტუკის, ბორჯომის ტიპის წყალს მაღალი ბალნეოლოგიური თვისებები აქვს.

დასახლია ივლის 14 ახალი ქარხანა მინერალური წყლების ჩამოსასმელად ზოვისპირეთში, ცომმარში, ურალში, აზერბაიჯანში, ყირიმში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

თითქმის ერთიანეთად გადიდდება ოეეეკსის წყარის რადიაქტიური წყლის გამოშვება. (საკდესი).

სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკთა საკავშირო თათბირი

ლენინგრადი, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს გიახსნა სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკთა საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, უკრაინის, ლიტვის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის, ყაზაქეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ენციკლოპედიის წარმომადგენლები.

მოსმენილ იქნა მოხსენებანი ბიბლიოგრაფიული მუშაობის კორონდისაკის საკითხებზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. ლიტერატურის შერჩევა, რასაკვირველია, ბელ უფრუნს მკითხველთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავეთა მიღწევათა შეთვისებას. ჩვენი ქვეყნის მრავალი სამეცნიერო ბიბლიოთეკა უშვებს ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს და დამმბარე საბჭოდეკანელოებს.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბიბლიოთეკები საკავშირო წიგნის პალატასთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან რუსული წიგნების ნაკრები კატალოგის შესადგენად, მუშობენ რუსული ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაზე.

თათბირი ორ დღეს გასტანს. იგი განხილავს ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული მუშობის გაუმჯობესების საკითხებს.

ნოზეთი. სასტუმრო „აფხაზეთი“. ფოტო კ. ვინნიჩენკისა

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა კორეაში

ლონდონი, 26 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, სეულიდან ტოკიოში რადიოტელეფონით მიღებული ცნობის თანახმად, ჩრდილოეთ კორეის ჯარების ძალები ირეიზეხის გვრეს სამხრეთ კორეის მე-7 დივიზიას, რომელიც იცავდა იდენუს მნიშვნელოვან კორიდორს, სეულის ჩრდილოეთით, უკანდახევა დაიწყო. მე-7 დივიზია, ნაოქაკნა ცნობათა, სწრაფად იხევს სეულისაკენ.

ტოკიოში მიღებული ცნობებით, ჩრდილოეთ კორეის ჯავშანსატანკო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხრეთისაკენ მიიწევს ეიმინჩოდან. ეს ერთეულები, 20-ზე მეტი ტანკი, როგორც იტყობენენ, მიიწევს ამ პიროვნებისაკენ, რომლებიც მდებარეობენ იდენუს ახლოს და ხელ რამდენიმე მილზე სეულის ჩრდილოეთით.

ტოკიო, 26 ივნისი. (საკდესი). ტოკიოს რადიო აქვეყნებს ასობიოდენ პრესის საგენტის მიერ სეულიდან გადმოცემული ცნობის ამის შესახებ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მოსაკარი ძალების ბრძოლა ჩაედგება 20 კილომეტრზე სეულის ჩრდილოეთით პუნჯენ იდენუში.

სამხრეთი მომიმხვევლები იდენუში გაჩაღებულ ბრძოლებს გადამწყვეტ მნიშვნელობას მიანერენ.

სამხრეთ კორეის საავენტო ხატონ ოსონსენი სეულიდან იუწყება, რომ, როგორც დღეს დილის 10 საათზე სამხრეთ კორეის სამხედრო ხელისუფლებმა განაცხადეს, დღეს განთადაზე სამხრეთ კორეის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ფუსანიდან 32 კილომეტრზე ჩაძირეს ჩრდილოეთ კორეის 600 ტონა წყალწყვილ სამხედრო ხომალდი, რომელზეც ჩრდილოეთ კორეის 500 ჯარისკაცი და ოფიცერი იყო.

პარიზი, 26 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის საავენტო სეულიდან იუწყება:

სამხედრო კომენტატორ თანახმად, სამხრეთ კორეის არმიამ მთელ ფრონტზე შეტევა დაიწყო და ყველგან შეიჭრა ჩრდილოეთ კორეის ჯარების წინააღმ.

ამერიკელთა რამდენიმე ავიაბომბდამტერებელ „ბ—61“ გამოჩნდა სეულის აეროდრომ კიმპოს და ნაგხადგურ ინჩონის თავზე. სადაც ეკეკურებენენი ამერიკელები ბომბს ესხდებიდნენ. ამავე დროს ჩრდილოეთ კორეის რომა თვითმფრინავმა შეადინა ხეთი ბომბი ჩამოყარა სეულის გარეუბნებში, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიჭრა.

შეუფარეველი ცნობების თანახმად, ჩრდილოეთ კორეის არმიის ჯარებმა დაიკავეს მთელი ნაგვიარეულნაკეთი ოსკინი და მის შეზობლად ჩინეთიდან სამხრეთით დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ნაგვიარეულნაკეთი.

სამხრეთ კორეელი ოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ კორეის არმიამ მოახერხა ფრონტის სტაბილიზება.

ლონდონი, 26 ივნისი. (საკდესი). რეიტერის საავენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოაცემს, რომ ინანობის გაზეთის მიერ მოგებული ცნობებით თანახმად ჩრდილოეთ კორეელ ჯარებს სეულის მიდამოებში შეეფინენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

როსტოვის ოლქის სელივანოვის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ტარასოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი პუტის" წევრებმა;

ვოლინის ოლქის გოლოვანიანის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. პეკინის (ჩინეთი) მე-18 რაიონის გლეხთა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა;

ქ. პეკინის (ჩინეთი) სტამბა „ჩანჩენის" მუშა-მოსამსახურეებმა;

ნანკინის (ჩინეთი) ელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა;

ჩიძინშანის (ჩინეთი) ფოლადსამსხმელო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა;

იტალიის კომუნისტური პარტიის ვალდანიოს ფედერაციის ორგანიზაციამ;

სალა სალუტე დი ლივენცას (იტალია) მშრომელებმა;

ქ. რომის (იტალია) საავტომობილო და ტრამვაის საწარმოების მუშათა პროფკავშირის პროვინციულმა კომიტეტმა;

ნოვე სტრაჟკანიცეს (ჩეხოსლოვაკია) დამკვეთელთა კონფერენციამ;

ქ. პარდუბიცეს (ჩეხოსლოვაკია) მასწავლებელთა კავშირმა;

ლოზოვიცეს (ჩეხოსლოვაკია) ლუდის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ოსტრავის (ჩეხოსლოვაკია) საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირმა და რუსული ენის სახალხო კურსების მოსწავლეებმა;

პისეკის (ჩეხოსლოვაკია) თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა;

ლოვოსიცეს რაიონის (ჩეხოსლოვაკია) სოფელ ...ლესკოვის ქალთა საბჭომ;

პარდუბიცის (ჩეხოსლოვაკია) ჩეხოსლოვაკური ფოსტის თანამშრომელთა კოლექტივმა;

პრაღის (ჩეხოსლოვაკია) ქიმიური ქარხნის რუსული ენის კურსების მსმენელებმა;

ჩემსკი ბროდის (ჩეხოსლოვაკია) რუსული ენის კურსის მსმენელებმა;

ლაბემის უსტის (ჩეხოსლოვაკია) მეტალურგიის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ;

ქ. კარლოვი ვარის (ჩეხოსლოვაკია) კომუნისტური პარტიის რაიონულმა კომიტეტმა;

ქ. ყირარდუვის (პოლონეთი) სამომხმარებლო მრეწველობის პროფკავშირის წევრებმა;

გრიფიცის (პოლონეთი) სოფლის მეურნეობის მომსახურე მრეწველობის მუშებმა;

ქ. ვარშავის შაქრის მრეწველობის მუშაკთა კოლექტივმა;

ჯერსის კომუნისტურმა პარტიამ, ნორმანდიის კუნძულები;

ყირიმის ოლქის კრასნოგვარდეისკის № 27 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

დნეპროპეტროვსკის ოლქის კოტოვსკის რაიონის ლიჩკოვის საავადმყოფოს სამედიცინო მუშაკებმა;

სარატოვის ოლქის პეტროვსკის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ჩრდილოეთ დონეცის რკინიგზის კომისაროვსკის № 74 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

„სოიუზტაბაკსირიოს" უზბეკეთის ტრესტის მუშაკთა კოლექტივმა, ქ. ტაშკენტი;

აზერბაიჯანის სსრ უჯარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

პარტიის ველსკის რაიონულმა კომიტეტმა და არხანგელსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების ველსკის რაისაბჭომ;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის სრედნე-ახტუბის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კიევის ოლქის შპოლიანსკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 12 წლისთავის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის დობრინკის რაიონის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ზაპოვედ ლენინას" წევრებმა;

ვოლინის ოლქის როჟიშჩეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

გომელის ოლქის სტრეშინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ჩირვონაია ნივას" წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ასტარის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სარატოვის ოლქის ტურკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ფაქელ სოციალიზმას" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის ქ. მიჩურინსკის ქარხანა „როსპლოდოოვოშჩტარას" მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

მინსკის საარქიტექტურო-სამშენებლო ტექნიკუმის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის და ორთქლმავლის მემანქანეთა სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ხარკოვის ოლქის სავინცის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი სოვხის" წევრებმა;

ვოლინის ოლქის გოლობის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის კეგიჩევკის რაიონის კრუგლიაროვის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეთა და სოფლის ინტელიგენციის კრებამ;

სტანისლავსკის სპირტის ტრესტის სერნიკოვის სპირტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პახარის" წევრებმა;

ხარკოვის ოლქის იზიუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ;

კიევის ოლქის ქ. ჩერკასის № 14 სკოლის მასწავლებელთა, პიონერთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

ჩრდილოეთის გზის ნიანდომის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ნოვო-ანენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ილიჩას" წევრთა კრებამ;

მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის სტუდენტთა კოლექტივმა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კიახტის აიმაკის კოლმეურნეობა „პოგრანიჩნიკის" წევრებმა;

კურსკის ოლქის ტომაროვკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარია ვოსტოკას" წევრებმა;

კრასნოდარის მხარის უსპენსკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმა;

აზერბაიჯანის სსრ საბირაბადის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ნოვო-ფსკოვის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ტამბოვის ოლქის ლისოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის" წევრებმა;

ქ. ხარკოვის სტალინის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

კიროვოგრადის ოლქის პოდვისოცკის რაიონის კოლმეურნეობა „სოვეტსკი ხლებორობის" წევრებმა;

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების ლენინგრადის სასწავლო კომბინატის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

მინსკის ოლქის ბორისოვის სატყეო მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა;

კურსკის ოლქის ტომაროვკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედას" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის კალინინის რაიონის სარეწაო არტელ „პამფილოვსკაიას" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კავშირგაბმულობის სამინისტროს კვმის კანტორის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის დოვოლნოეს რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ზარიას" წევრთა კრებამ;

შახტის სამთო ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ბელორუსიის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს თევზის მეურნეობის მეთევზეებმა, მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინრებმა;

ხარკოვის ოლქის ბოროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრებმა;

ხარკოვის ოლქის იზიუმის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ყარა-ყალპაკეთის ასსრ კიპჩაკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ კუსარის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ;

ესტონეთის სსრ ტრესტ „გაზსლანცესტროის" მანქანების გასაქირავებელი ბაზის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის ვოლოკონოვკის რაიონის პოკროვსკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ტიხაია სოსნას" წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის როსოშის წისქვილების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის უკრაინის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის სელივანოვის რაიონის ჩაპაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ტულის ოლქის ლიპიცკის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

პენზის ოლქის კამენსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოის რაიონის მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ვოლინის ოლქის ოვადნოვის რაიონის კოვპაკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის საოლქო სამომხმარებლო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. მინსკის კინოთეატრ „ბელარუსის" მუშაკთა კოლექტივმა;

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ქალაქ რუსთავის სავაჭროებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ სასადილოები და სავაჭროები, რომლებიც მომსახურებას უწევენ რუსთავის მოსახლეობას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მრავალ სასადილოში არ იცავენ კერძების დამზადების სავალდებულო ასორტიმენტს, დაბალია კერძის ხარისხი, დამხმარე მეურნეობანი არასაკმაოდ ამარაგებენ სასადილოებს ბოსტნეულით. სასურსათო მაღაზიებში არ იცავენ სავალდებულო ასორტიმენტით გათვალისწინებული საქონლის მინიმუმს. სასადილოებისა და მაღაზიების უმრავლესობა უზრუნველყოფილი არ არის ინვენტარითა და მოწყობილობით. სასადილოები და საპროდუქტო მაღაზიები მზად არ არიან ზაფხულის პერიოდში მუშაობისათვის. ზოგიერთ სასადილოსა და მაღაზიაში უსუფთაობაა, ვაჭრობის მუშაკთა შორის არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა შემოწმების შედეგები და დააყენა საკითხი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინაშე რუსთავის სავაჭროებისათვის სასურსათო საქონლის დამატებითი ფონდების გამოყოფის, ამ სახის საქონლით შეუფერხებელი ვაჭრობისა და მაღაზიებსა და სასადილოებში სავალდებულო ასორტიმენტის მინიმუმის დაცვის შესახებ.

რუსთავის მშენებლობისა და საწარმოთა ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი 15 ივლისამდე დაამთავრონ მუშა-მოსამსახურეთა სასადილოების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. ამავე ვადისათვის უზრუნველყონ ისინი მაცივრებითა და აუცილებელი ინვენტარით, წესრიგზე მოიყვანონ სასადილოებისა და მაღაზიების მახლობლად მდებარე ტერიტორია და ეზოები და შექმნან სათანადო სანიტარული პირობები.

სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დაევალა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს პროფკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტს ვაჭრობისა და საზკვების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, მომხმარებელთა საუკეთესო მომსახურების მეთოდების ფართოდ დანერგვაში, საწარმოო თათბირების მოწყობისა და სავაჭრო ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში.

ბრძოლა საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფისათვის

მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ ასაღებად!

ლაპარაკობენ მოწინავე ბრიგადირები, კომბაინერები...

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ საქართველოს კ. პ. (ბ) კაჰრეთის რაიკომთან ერთად მოაწყო მემინდვრეობის და სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელთა, კომბაინერების, აგროპერსონალის თათბირი, რომელსაც დაესწრო 250 კაცზე მეტი.

ბრიგადირის როლზე მოსავლიანობის გადიდების საქმეში და მოსავლის ალებისათვის მზადების მიმდინარეობაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) კაჰრეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ხელაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: შ. ბაცანაძემ (კაჰრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი), შ. ბეჟუაშვილმა (მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" ბრიგადირი), ვ. ოქრომჭედლიშვილმა (კაჰრეთის მტს-ის კომბაინერი), გ. გოგინაშვილმა (ნანიანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი), გ. ბეროშვილმა (კაჰრეთის მტს-ის კომბაინერი), ო. მედულაშვილმა (არაშენდის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი), რ. ნასარიძემ (პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე), გ. გილიგაშვილმა (მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი), ს. გაგოშიძემ (რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი), მ. მათიაშვილმა (რაიგაზეთის რედაქტორი) და ა. ფხალაძემ (მტს-ის დირექტორი).

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება მოსავლის აღებისათვის მზადებაში, იკისრეს ახალი ვალდებულებანი და მოიწონეს წითელწყაროელი სოციალისტური შრომის გმირის სტეფანე კობაიძის თაოსნობა ბრიგადირთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

ვბეჭდავთ თათბირის მოკლე ანგარიშს.

ავამაღლოთ ბრიგადირის როლი

ა. ხელაშვილი — საქართველოს კ. პ. (ბ) კაჰრეთის რაიკომის მდივანი

საკოლმეურნეო წყობილებამ შესანიშნავი პირობები შექმნა უხვი მოსავლის მოყვანისათვის. მსხვილ სოციალისტურ მეურნეობას შესაძლებლობა აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მეცნიერების მიღწევები. რაც უფრო უკეთესად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობაში, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უკეთესია შრომის შედეგები.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი და მთავარი ფორმაა მუდმივი საწარმოო ბრიგადა. ბრიგადირის უნარიან ხელმძღვანელობაზე დიდად არის დამოკიდებული ბრიგადის წარმატება. როგორც წესი, ბრიგადირი უშუალოდ ემორჩილება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ყველა განკარგულება ბრიგადას უნდა მისცეს მხოლოდ ბრიგადირის საშუალებით. კოლმეურნეობის ის თავმჯდომარე, რომელიც ბრიგადირისათვის გვერდის ავლით აძლევს დავალებას ბრიგადას, შეცდომას სჩადის. ამით იგი უგულებელყოფს ბრიგადირის როლს, ახშობს მის ინიციატივას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმმა სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე მორიგ ამოცანად დასახა მარცვლეული კულტურებისა და პირველ რიგში ხორბლის მოსავლის მკვეთრად გადიდება. ამ დავალების შესრულებას ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ, თუ ბრიგადირი არ დაეუფლა უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატობას. კოლმეურნეობის ბრიგადირი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მიმდინარე წლის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირი ამხ. ქუმელაშვილი კოლმეურნეებმა სასტიკად გააკრიტიკეს იმისათვის, რომ არ ფიქრობდა ცოდნის შეძენაზე და საქმისათვის გული არ შესტკიოდა, რის შედეგად ბრიგადამ ჰექტარზე მოიყვანა 3 ცენტნერზე ნაკლები მოსავალი, ვერ შეასრულა აგრეთვე სიმინდისა და მზესუმზირას მოსავლიანობის გეგმები. საჭიროა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, ავამაღლოთ ბრიგადირის როლი კოლმეურნეობაში. პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა გამგეობები, მტს-ის ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაეხმარონ ბრიგადირებს დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ბრიგადირთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ და კონკრეტულად, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ შეჯიბრებას. დგება პასუხსაგები სამუშაო პერიოდი. იწყება მოსავლის აღება. გავაჩაღოთ შეჯიბრება პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის, პირველი განაღდის მარცვლეული ჩაბარებისათვის სახელმწიფოს.

შეთანხმებული მუშაობით

გ. გოგინაშვილი — სოფელ ნანიანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

ბრიგადის მუშაობის სწორად მოწყობაზე ბევრად არის დამოკიდებული მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდება, თანამედროვე ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება. ამაში ღრმად დავრწმუნდი 7 წლის განმავლობაში ბრიგადირად მუშაობის გამოცდილებით.

ჩვენი ბრიგადის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული კაჰრეთის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის კარგი მუშაობისაგან. მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადები შეთანხმებულად, ურთიერთ ხელშეწყობისა და გაგების გრძნობით მოქმედებენ. ჩვენ სათანადო პირობებს ვუქმნით მათ ნაყოფიერი მუშაობისათვის და ისინიც სამუშაოს დროულად, მაღალხარისხოვნად გვისრულებენ. შარშან შემოდგომაზე პურეული დავთესეთ მწკრივად, თითოეულ ჰექტარზე დავხარჯეთ 165 კილოგრამი თესლი. ნაკვეთებში საშემოდგომო ხვნის შემდეგ შევიტანეთ ორგანული სასუქი ჰექტარზე 25-30 ტონა, 10 ჰექტარი ჯეჯილი გამოვკვებეთ მინერალური სასუქით.

ბრიგადის წევრები დარაზმული არიან იმისათვის, რომ ყველაფერი გააკეთონ ხორბლის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად. არხილოსკალოელი სოციალისტური შრომის გმირის სტეფანე კობაიძის მაგალითისამებრ ჩვენ ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას და ვკისრულობთ 72 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 16 ცენტნერი ხორბალი, ხოლო 40 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე — 26 ცენტნერი.

მოსავლის აღებას მალე დავიწყებთ. მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ 12 სამუშაო დღეში, პირველ განაღდ მარცვლეულს ჩავაბარებთ სახელმწიფოს. აქედანვე ვიზრუნებთ, რომ მომავალი წლისათვის საგრძნობლად გავადიდოთ ხორბლის მოსავლიანობა.

ფართოდ დავნერგოთ აგროტექნიკის მიღწევები

ს. გაგოშიძე—რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი

საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანა გვავალებს ნათესი ფართობის გადიდებით, მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების დანერგვით მოვიყვანოთ უხვი მოსავალი. მიწას უნდა გამოვართვათ იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს წითელწყაროელი ბრიგადირის სტეფანე კობაიძის თაოსნობით ბრიგადირთა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას. ეს შეჯიბრება მასობრივი უნდა გავხადოთ.

მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ უნდა მოვემზადოთ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — 1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ ჩვენი სამოქმედო პროგრამაა. მოსავლის აღებისა და დამზადების წარმატებას წყვეტენ ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, კადრები. შრომის სწორი ორგანიზაცია, ადამიანთა უნარიანი განაწილება, მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნა გამარჯვების უპირველესი პირობაა.

მოსავლის აღებიდან არაუგვიანეს სამი დღისა დაუყოვნებლივ უნდა გავწმინდოთ ნაკვეთები, მოვაწყოთ ოშვა, მოვიმარაგოთ სასუქი, მოვამზადოთ სათესლე მასალა, მოვახდინოთ ხორბლის ჯიშობრივი გაუმჯობესება.

სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში", ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვაგან მიღებულია მაღალხარისხოვანი ჯიშის დოლის პური, რომელიც 2 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე სხვა ჯიშები. საჭიროა სათესლე ნაკვეთებზე აღებული პური შევინახოთ ჯიშებისა და კატეგორიების მიხედვით. ყურადღებით უნდა მოვეპყროთ კახური დატოტვილი ხორბლის გავრცელებას, სათესლედ უნდა ავიღოთ კარგად დატოტვილი თავთავები.

სრულყოფილად გამოვიყენოთ მსხვილი სამანქანო ტექნიკა, დავიცვათ აგროტექნიკური მოთხოვნები და მოსავალი ავიღოთ სწრაფად, უდანაკარგოდ.

ვიბრძვით შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის

ვ. ოქრომჭედლიშვილი — კაჰრეთის მტს-ის კომბაინერი, რაისაბჭოს დეპუტატი

პირველი შემთხვევაა, რომ მემინდვრეობის და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების, კომბაინერების, აგროპერსონალის რაიონულ თათბირს ვესწრები. წინათ ასეთი თათბირები არ ეწყობოდა. აქ ვეცნობით ერთმანეთის მუშაობას, გამოცდილებას იმისათვის, რომ გავადიდოთ ხორბლის მოსავლიანობა.

ჩემი ბრიგადის ტრაქტორისტები, კომბაინერები და სხვა ამხანაგები ჩვენი აგიტატორის საშუალებით გულდასმით გავეცანით გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილ სტეფანე კობაიძის წერილს. ჩვენ მხარი დავუჭირეთ მის შესანიშნავ თაოსნობას და ჩავებით ლაშქრობაში უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

შარშან 20 სამუშაო დღეში მოსავალი ავიღე 554 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა. მოსავლის აღებისთანავე ჩემმა ბრიგადამ ნაწვერალი აოშა, აგროტექნიკურ ვადაში დათესა შემოდგომის პურეული. ახლა ბრიგადა და მეც როგორც კომბაინერი, მზად ვართ მოსავლის აღებისათვის. ბრიგადის ყველა კომბაინს აქვს მარცვალსაჭერები, ნამჯის დამბულულებელი, ცეცხლსაქრობები.

კომბაინებისა და კომბაინერთა მუშაობას დიდ მნიშვნელობას აძლევს ამხანაგი სტალინი. მე როგორც კომბაინერი, გავამართლებ ამ ნდობას. მოსავალს ავიღებ 20 სამუშაო დღეში 600 ჰექტარზე უდანაკარგოდ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა, ვიმუშავებ საათობრივი გრაფიკით, რომელიც თვალსაჩინოდ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

ბოლშევიკურად გავაჩაღოთ საგიტაციო მუშაობა

რ. ნასარიძე — საქართველოს კ. პ. (ბ) კაჰრეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

ამჟამად 430-ზე მეტი აგიტატორი ეწევა აგიტაციას მინდვრად სამუშაოზე გასულ კოლმეურნეთა შორის. სოფელ არაშენდის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ენერგიულად მუშაობენ აგიტატორები ამხ. პ. ჩომახაშვილი, ვ. არსენიშვილი, გ. გაბიტაშვილი, ლ. მალანია და სხვები.

კარგად აქვს მოწყობილი კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" პარტორგანიზაციას. ამ კოლმეურნეობის მემინდვრეობის № 7 ბრიგადაში მშვენივრად მუშაობს კომკავშირელი აგიტატორი ამხ. ქეთევან ჯავახიშვილი. იგი მინდვრად აწყობს საუბრებს, უშვებს საველე გაზეთს. ასევე კარგად მუშაობენ ამ კოლმეურნეობის № 9 და № 8 ბრიგადის აგიტატორები ამხ. თ. თაბორიძე და ეთერ ბეჟუაშვილი.

დადგა მოსავლის აღებისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები. საჭიროა თითოეული კოლმეურნეობის ბრიგადა, თითოეული კოლმეურნე გულმოდგინედ მოემზადოს ამ უდიდესი სამუშაოებისათვის. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებს შორის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის.

რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას შემუშავებული აქვს გეგმა მოსავლის აღების პერიოდში კოლმეურნეობებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის. ყველა კოლმეურნეობაში, მტს-ში, ბრიგადაში გამოშვებულ იქნება საველე გაზეთი, მოეწყობა მოძრავი ბიბლიოთეკები. კოლმეურნეებს მინდვრად მივაწვდით ახალ ჟურნალ-გაზეთებს, მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას. საკლუბო დაწესებულებებისა და აგიტპუნქტების მეშვეობით მოეწყობა აგიტმხატვრული ბრიგადების გასვლა კოლმეურნეობებში და მხატვრული კინოფილმების ჩვენება.

პირობას გავანაღდებთ

ო. მედულაშვილი — არაშენდის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

მტკიცედ ვახორციელებთ აგროწესებს მოსავლიანობის გასადიდებლად. უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყავით ნათესების კარგად დამუშავება. თავთავიანი მარცვლეული კულტურები 62 ჰექტარზე დათესილი გვაქვს მწკრივად. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო.

მიუხედავად იმისა, რომ ნათესის ნაწილი სეტყვამ დააზიანა, 40 ჰექტარზე უხვ მოსავალს ვიღებთ. მალე დავიწყებთ პურეულის მასობრივად მკას. კომბაინით ავიღებთ 40 ჰექტარს, ხელით კი 22 ჰექტარს. მკელები, ძნის შემკვრელები, მზიდველები მზად არიან. მკაზე იმუშავებს 18 კოლმეურნე, თავთავების აკრეფაზე კი 12 მოზარდი. მზად გვაქვს გადახურული კალო.

მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ახლავე ვზრუნავთ. ვწმენდთ და ვამუშავებთ ყამირს, ვიმარაგებთ სასუქს, ვავრცელებთ მოწინავეთა გამოცდილებას, რათა მეტი პური მოვიყვანოთ.

ვეჯიბრებით მეორე სატრაქტორო ბრიგადას

გ. გილიგაშვილი — კაჰრეთის მტს-ის კომბაინერი

ჩვენი ბრიგადის მთელ შემადგენლობას შეგნებული აქვს, თუ რა დიდი ამოცანები აკისრია მას უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში. ბრიგადა ემსახურება სოფელ არაშენდის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობას. შარშან მოსავლის აღებისთანავე დავიწყეთ ნაწვერალის აოშვა, ხოლო საგაზაფხულო ხვნა-თესვის დამთავრების შემდეგ ენერგიულად შევუდექით მოსავლის აღებისათვის მზადებას, მაღალხარისხოვნად შევაკეთეთ კომბაინები, მოვაწყეთ მარცვალსაჭერები, ნამჯის შემგროვებლები, ცეცხლმქრობები.

თუ გასულ წელს პირადად ჩემი კომბაინით ავიღე 240 ჰექტარი, წელს გადავწყვიტე 15 სამუშაო დღეში ავიღო 350 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 235 ჰექტარისა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით № 2 ბრიგადასთან, პირადად კი—№ 17 კომბაინის კომბაინერ ამხ. ლენიაშვილთან.

პირველი განაღდი პური სახელმწიფოს

შ. ბეჟუაშვილი — სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" ბრიგადირი

შრომის სწორად მოწესრიგება ბრიგადის წარმატების საწინდარია. დიდ ყურადღებას ვაქცევთ შრომადღეების აღრიცხვასა და დარიცხვას. მტკიცედ ვიცავთ შრომის დისციპლინას.

40 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი გვაქვს. მოსავლის აღებისათვის მზად ვართ. ბრიგადას აქვს კარგად შეკეთებული 3 ურემი, გეგმის გარეშე გავაკეთეთ 2 ურემი, ურმებზე მოწყობილია ჯინები. მაგრამ გვაკლია ჯაჭვები და თოკები, რითაც კოოპერაცია ცუდად ამარაგებს კოლმეურნეობებს.

მინდვრად ვაწყობთ საველე საწყობებს. უკვე გამოყოფილი არიან საწყობის გამგეები, მწონავები, პურის მზიდავები. კომბაინს მიჩენილი ჰყავს მუშახელი. აღრიცხული არიან მოზარდები, რომლებიც თავთავის აკრეფაზე იმუშავებენ. ყველა კოლმეურნემ იცის, სად მოუხდება მუშაობა მოსავლის აღების პერიოდში. ბრიგადის წევრთა სახელით პირობას ვიძლევი ჩვენი ბრიგადა ყოველთვის მოწინავე იყოს. ვალდებულებას ვკისრულობთ 40 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე ავიღოთ 17 ცენტნერი ხორბალი, ხოლო უხვმოსავლიანი 4 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი. პირველ განაღდ პურს ჩავაბარებთ სახელმწიფოს.

მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ

შ. ბაცანაძე — კაჰრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

ჩემმა ბრიგადამ ხვნა-თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად შეასრულა. დავთესეთ უმთავრესად დოლის პური, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა ჩვენს პირობებში. შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე ნაკვეთებში შევიტანე გადამწვარი ნაკელი, ნაწილობრივად კი მინერალური სასუქიც. ჯეჯილი დროულად დავფარცხე. მოსავალს კარგი პირი უჩანს. კარგად დავამუშავეთ 20 ჰექტარი სიმინდი, 17 ჰექტარი მზესუმზირა, 2 ჰექტარი ლობიო, კარტოფილი და ბაღჩეული კულტურები. უკვე მზად ვართ მოსავლის ასაღებად.

პირობას ვიძლევი მოსავალი ავიღოთ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ. მოვუწოდებ ყველა ბრიგადირს გააჩაღოს შეჯიბრება უხვი მოსავლის მოყვანისათვის. მივცეთ ჩვენს სამშობლოს მეტი პური და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ვიმუშავებთ საათობრივი გრაფიკით

ა. ფხალაძე — კაჰრეთის მტს-ის დირექტორი

მტს-ის ბრიგადირებმა მოიწონეს წითელწყაროელი ბრიგადირის სტეფანე კობაიძის ინიციატივა და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

სატრაქტორო ბრიგადირების მიერ ნაკისრ ვალდებულებებში ნათქვამია, რომ ისინი მტკიცედ დანერგავენ საათობრივი გრაფიკით მუშაობას. ეს მეტად მნიშვნელოვანი და ახალი ღონისძიებაა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. ამაში დავრწმუნდით საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობის პერიოდში.

ამ თათბირზე ყურადღება მინდა გავამახვილო ცალკეულ კოლმეურნეობათა აგრონომებზე. აგრონომ ჩალათაშვილის უპასუხისმგებლობით სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კარტოფილის ნაცვლად საკვები ჭარხალი დათესეს. სოფელ ალანდარაში შეიძლებოდა პურეულის ნათესის მორწყვა, რადგან წყალი იქვეა, მაგრამ ამ ღონისძიების განსახორციელებლად აგრონომმა ზომები არ მიიღო.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა იბრძოლონ აგრონომიული მეცნიერების, მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების მტკიცედ დანერგვისათვის.

გორის საკონსერვო ქარხანა ოცი წლისაა

საკონსერვო მრეწველობის განვითარებას ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა სერიოზული ყურადღება. ამ მხრივ დამახასიათებელია გორის საკონსერვო ქარხნის ისტორია. ამ ქარხნის მთელი მოწყობილობა წინათ თუჯის ორი ქვაბი და რამდენიმე პრიმიტიული მანქანა იყო. 20 წლის წინათ, მთავრობის დადგენილებით, ეს ქარხანა მოეწყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. რეკონსტრუირებულმა ქარხანამ 1930 წლის ივნისში გამოუშვა პირველი პროდუქცია.

მას შემდეგ დაუღალავად შრომობს ქარხნის კოლექტივი და ყოველთვის საამაყო მაჩვენებლებს აღწევს. საგრძნობლად გაიზარდა კონსერვების გამოშვება, გამრავალფეროვანდა მისი ასორტიმენტი. ყოველწლიურად იზრდება სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა, უმჯობესდება მისი ხარისხი. უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 1930 წელთან შედარებით 1940 წელს გაიზარდა 42,7 პროცენტით, ხოლო 1949 წელს—70,8 პროცენტით. შრომის სწორი ორგანიზაციით და ტექნოლოგიის გაუმჯობესებით მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. თუ 1933 წელს თვითეული მეკონსერვე მუშა საშუალოდ 10.200 ქილა კონსერვს ამზადებდა, 1949 წელს 32.500 ქილა კონსერვი დაამზადა.

ქარხანამ განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა 1948-1949 წლებში. 1948 წელს ქარხნის კოლექტივმა შეძლო ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულება და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა. მაშინ ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 2,5 მილიონი ქილა კონსერვი და 3,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, ამასთან პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 1.700 ათასი მანეთით. ეს დიდი გამარჯვება ქარხნის კოლექტივს მიულოცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ა. მიქოიანმა. ამავე დროს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ ჩვენი კოლექტივი დააჯილდოვა ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით და ფულადი პრემიით.

ქარხნის კოლექტივმა მაღალნაყოფიერად იმუშავა შარშანაც. მესამე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით მოვიპოვეთ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით კი მოგვაკუთვნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მუშაობის ტემპის გაძლიერებით ახალი წარმატება მოვიპოვეთ და შევინარჩუნეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთან ერთად ჩვენი კოლექტივი 1948 წლის აგვისტოდან მტკიცედ ინარჩუნებს „საქკონსერვტრესტის" და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

ეს მიღწევები იმის შედეგია, რომ კოლექტივმა შეძლო სანიმუშოდ მოეწყო პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-სააგიტაციო მუშაობა. ჩვენ მრავლად გვყავს მოწინავე ადამიანები, რომლებიც ქარხნის მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე დაუღალავად მუშაობენ. ასეთები არიან, მაგალითად, თამარ რაზიკაშვილი, ლიდა ყანჩაველი, ეკატერინე წერეთელი, კონსტანტინე შენგელია, მარიამ შატაკიშვილი და სხვები, რომლებიც ყოველთვის სასახელოდ ასრულებენ საწარმოო და საზოგადოებრივ დავალებებს. კადრის ამ ძველ მუშებს გვერდს უმშვენებენ ახალგაზრდა მუშები თამარ მაჭარაშვილი, ქუჯუნა ბერიძე, ირა კლიმენკო, ტატიანა პიატიგორეცი და სხვები, რომლებმაც ზედმიწევნით შეისწავლეს თავისი სპეციალობა და მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს იძლევიან.

ქარხნის არსებობის ოცი წლისთავთან დაკავშირებით 20 ივნისს მუშათა კლუბში მოეწყო საზეიმო სხდომა; სხდომაზე ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს სტახანოველმა მუშებმა: ეკატერინე წერეთელმა, მაშო შატაკიშვილმა, მელანო მეჩიტაშვილმა, ბრიგადირმა ირა კლიმენკომ, ლაბორატორიის გამგემ შ. ტატიშვილმა და სხვებმა.

ამ დღეებში დაიწყება კონსერვების დამზადების ახალი სეზონი. ქარხანა ყოველმხრივ მზადაა სეზონისათვის: შეკეთებული და წესრიგზე მოყვანილია საამქროები, საწარმოო ხაზები, მანქანა-დანადგარები. უზრუნველყოფილი ვართ კვალიფიციური მუშებით. ნედლეულის მიღებისთანავე ქარხანა შეუფერხებლად დაიწყებს მუშაობას და კვლავაც გადაჭარბებით შეასრულებს გეგმებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

პ. საყვარელიძე
გორის საკონსერვო ქარხნის დირექტორი

წითელი დროშები მოწინავე წყალთა მეურნეობებს

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამმართველოებმა სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მნიშვნელოვანი მიღწევებით დაამთავრეს 1949 წელი: სარწყავი მეურნეობის 21 სამმართველოდან ხუთმა მთელ სსრ კავშირში მოიპოვა მოწინავე მეურნეობის სახელი. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მარნეულის (უფროსი გ. ნიმნიანიძე) და სამხრეთ-ოსეთის (უფროსი ს. შავლოხოვი) სამმართველოებს მიენიჭა პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პირველი პრემიები. ბოლნისის (უფროსი ი. ნაკაიძე), ყვარლის (უფროსი ი. იმერლიშვილი) და კასპის (უფროსი შ. გუმბერიძე) სამმართველოები დაჯილდოებული არიან ფულადი პრემიებით.

აფხაზეთის ასსრ. გაგრის რაიონში (ბიჭვინთა) არის მებოსტნეობის მოწინავე საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ბოსტნეულით ამარაგებს აფხაზეთის კურორტებს. საბჭოთა მეურნეობის სათბურებში დამწიფდა პომიდორი, მწიფდება ყურძენი. სურათზე: საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ზოდელავა (მარცხნიდან მეორე) ორანჟერიის მოწყობილობას აცნობს ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში საექსკურსიოდ ჩამოვიდნენ სოხუმიდან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

23 ივნისს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო". დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტ კოტე მარჯანიშვილისა (აღდგენილი რესპუბლიკის სახალხო არტისტ დ. ანთაძის მიერ), მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. სიდამონ-ერისთავი, მუსიკა—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. ვახვახიშვილისა.

სპექტაკლში, რომელსაც მაყურებელი გულთბილად შეხვდა, როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. მურუსიძე და ვ. ჩხიკვაძე; მსახიობები თ. პოკროვსკაია, თ. კიკნაძე, ვ. მეგრელიშვილი, გ. ნაცვლიშვილი, ბ. კოკელაძე, შ. ქარციცაძე, ა. კალანდარაშვილი, ა. ჩიქვინიძე, ლ. შენგელია და სხვები.

24 ივნისს ქუთაისის თეატრმა მაყურებელს უჩვენა გუცკოვის „ურიელ აკოსტა", დადგმა კოტე მარჯანიშვილისა (აღდგენილი დ. ანთაძის მიერ), მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნ. ყაზბეგს, მუსიკა—თ. ვახვახიშვილს.

როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. მურუსიძე, ვ. ჩხიკვაძე, თ. ღვინიაშვილი; მსახიობები ვ. მეგრელიშვილი, ა. კალანდარაშვილი, მ. სვანიძე, თ. პოკროვსკაია, მ. ფხაკაძე და სხვები.

გუშინ ქუთაისის თეატრმა ქალაქ რუსთავის მაყურებელს უჩვენა ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია".

მოდიან ახალგაზრდა კადრები

რუსთავი. (საკ. კორ). 36-ე საფაბრიკო-საქარხნო სკოლა კვალიფიციურ კადრებს უმზადებს რუსთავის სამშენებლო ტრესტს. წელს სკოლა გამოუშვებს 206 ახალგაზრდა სპეციალისტს: კალატოზს, მებათქაშეს, მეარმატურე-მებეტონეს, დურგალს და სხვ. სკოლაში ამჟამად მიმდინარეობს გამოსაშვები გამოცდები. გამოცდებზე საუკეთესო ცოდნა გვიჩვენა ინჟინერ ვ. ჩაჩავას მეარმატურე-მებეტონეთა ჯგუფმა. ამ ჯგუფის 19 მოსწავლიდან 17 მიიღო მეოთხე თანრიგის ხელოსნის წოდება, ხოლო ორმა — მეხუთესი. მაღალი შეფასება მიიღო აგრეთვე კალატოზების ჯგუფმა, რომელსაც ოსტატი ვ. ფილიპოვი ხელმძღვანელობს.

პირველი გამოშვებიდან სკოლა ფრიადზე დაამთავრეს ო. კოკილაშვილმა, დ. დავიდოვმა, ე. ინაშვილმა და ვ. მაიცამ. კარგი შეფასება მიიღეს შ. სურგულაძემ, მ. ზვიადაძემ, რ. გოგოლაძემ და სხვ.

ახალგაზრდა სპეციალისტებს სამუშაოზე ანაწილებს სამშენებლო ტრესტის კადრების განყოფილება. ისინი თავიანთი სურვილის მიხედვით იგზავნებიან ქალაქის მშენებლობის ძირითად ობიექტებზე.

რუსთავში ჩამოვიდა აგრეთვე ჭიათურის 34-ე საფაბრიკო-საქარხნო სკოლადამთავრებული 16 მეარმატურე-მებეტონე ახალგაზრდა, რომლებიც ქალაქის სამშენებლო უბნებზე იმუშავებენ.

„სოიუზპეჩატის" ახალი მაღაზია

ქუთაისი. (საკ. კორ.). „სოიუზპეჩატის" ქუთაისის განყოფილებამ 1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე გახსნა ახალი მაღაზია, რომელიც ვაჭრობს წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებითა და საკანცელარიო ნივთებით. მაღაზიის კეთილმოწყობაზე 20 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ბერლინის საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის წერილი ბერლინის დასავლეთ სექტორების კომენდანტებისადმი

ბერლინი, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა ბერლინის საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის ს. ა. დენგინის წერილი ბერლინის დასავლეთ სექტორების კომენდანტებისადმი.

წერილში ნათქვამია:

„ვადასტურებ რა თქვენი ამა წლის 9 ივნისის წერილის მიღებას სრულიად ბერლინის არჩევნების მოწყობის შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

თქვენს წერილში მოყვანილი მოსაზრებანი სრულიად ბერლინის არჩევნების მოწყობის შესახებ საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, რომლებიც ჩამოყალიბებულია პოლკოვნიკ ელიზაროვის წერილში, არსებითად ახალს არაფერს შეიცავს, ხოლო მათი მეტი ნაწილის უსაფუძვლობა უკვე ცხადყო საბჭოთა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე 1949 წლის ივნისში.

თქვენ იმის წინააღმდეგი ხართ, რომ გერმანელ წარმომადგენელთაგან პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ბერლინის არჩევნების მოსამზადებელი კომისია. ბერლინი კი ფაქტიურად გაყოფილია ორ ნაწილად და სრულიად ბერლინის არჩევნების მომწყობი კომისია შედგენილ უნდა იქნას ქალაქის ამ ორი ნაწილის წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობიდან, რათა გამოირიცხოს მოსახლეობის ინტერესთა დარღვევის შესაძლებლობა ქალაქის ამა თუ იმ ნაწილში არჩევნების მოწყობის დროს.

თქვენ აგრეთვე იმის წინააღმდეგი ხართ, რომ ბერლინში ყველა ნებადართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და პარტიას უფლება მიეცეს თავისი კანდიდატები წამოაყენოს არჩევნებში. ამავე დროს ეს ორგანიზაციები, რომელთა რიგებში ასეულ ათასობით წევრი ირიცხება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქის საერთო-პოლიტიკურ ცხოვრებაში და სრულიად ბერლინის არჩევნებში მონაწილეობისაგან მათი ჩამოშორება ბერლინის მოსახლეობის ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებათა დარღვევა იქნება.

თქვენი წინადადება იმის შესახებ, რომ ბერლინის 1946 წლის დროებითი კონსტიტუცია შეიცვალოს ქალაქის დასავლეთ სექტორებში 1948 წელს მოწონებული კონსტიტუციით, ეწინააღმდეგება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე ოთხი მინისტრის მიერ გამოთქმულ აზრებს 1948 წლის კონსტიტუციის უვარგისობის შესახებ.

თქვენი მტკიცება, რომ ბერლინის დასავლეთ სექტორებისათვის სეპარატულად შემოღებული საოკუპაციო სტატუტის გაუქმება თითქოს შეზღუდავს გერმანული სამმართველო ორგანოების უფლებებს, უსაფუძვლოა. ცნობილია, რომ ეს სტატუტი თვითმმართველობის გერმანულ ორგანოებსართმევს ძირითად დემოკრატიულ უფლებებს და ანიჭებს შეუზღუდავ უფლებებს დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლებას, რაც შეუთავსებელია პოტსდამის შეთანხმებასთან გერმანიის საკითხზე.

რაც შეეხება თქვენი წერილის იმ პუნქტებს, რომლებშიც ლაპარაკია ყველა დემოკრატიული პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის მოქმედების თავისუფლებასა და მთელ ბერლინში პირად და საზოგადოებრივ თავისუფლებათა განხორციელების გარანტიაზე, ეს თავისუფლებანი ჯერ სრულად განხორციელებულია ქალაქ ბერლინის მხოლოდ საბჭოთა სექტორში, რის თქმაც არ შეიძლება დასავლეთ სექტორების შესახებ, სადაც დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც გამოდიან მშვიდობისა და გერმანიის ერთიანობის დასაცავად, სისტემატურად სდევნიან: ამ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში (1948 წლის მაისიდან 1950 წლის მაისამდე) ქალაქ ბერლინის დასავლეთ სექტორებში დემოკრატიული მოღვაწეობისათვის მსჯავრდადებულ იქნა 466 კაცი; გარდა ამისა, ქალაქის დასავლეთ სექტორებში მთელი გერმანიის ახალგაზრდობის შეხვედრის დროს დაპატიმრებულ იქნა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის 336 წევრი. მიუხედავად საზოგადოებრიობის პროტესტებისა, ქალაქის დასავლეთ სექტორებში დღემდე აკრძალული არიან და იდევნებიან ისეთი დემოკრატიული ორგანიზაციები, როგორიცაა გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანება, „კულტურბუნდი" და სხვა მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც გამოდიან მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ინტერესების დასაცავად.

ის გარემოება, რომ თქვენ უარყავით საბჭოთა წინადადება ბერლინიდან ყველა საოკუპაციო გარნიზონის გაყვანის შესახებ იმას მოწმობს, რომ თქვენ არა გსურთ შექმნათ ნამდვილად თავისუფალი არჩევნების მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბერლინის დასავლეთ სექტორებში 1948 წლის დეკემბერში სეპარატული არჩევნების დროს ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლების ჯავშნიანი ავტომანქანები და პოლიციის გაძლიერებული სამხედრო პატრულები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ტყვიამფრქვევებით. აგრეთვე ცნობილია, რომ ბერლინის მოსახლეობის მასობრივ დემონსტრაციებს და დემოკრატიული ხასიათის სხვა გამოსვლებს ქალაქის დასავლეთ სექტორებში სამხედრო გარნიზონების ძალებით ახშობენ. მაშასადამე, სამხედრო გარნიზონთა გაყვანა ნამდვილად თავისუფალი საერთო-საქალაქო არჩევნების უზრუნველყოფის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

თქვენს წერილში დუმილით უვლით გვერდს საბჭოთა მხარის დიდმნიშვნელოვან წინადადებებს ბერლინის სექტორებად დანაწილების ლიკვიდაციის შესახებ. ამავე დროს ბერლინის მთელმა მოსახლეობამ, ხოლო მისი გავლენით დასავლეთ სექტორების საქალაქო დეპუტატთა საკრებულომაც კი მხარი დაუჭირა ამ წინადადებას, რადგან ამჟამად სექტორებად ქალაქის დანაწილება დამღუპველ გავლენას ახდენს ქალაქის ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობაზე, წყლით მომარაგებაზე, ვაჭრობაზე, ხელოსნობასა და მთელ კომუნალურ მეურნეობაზე.

სექტორების ლიკვიდაცია და ბერლინიდან ყველა საოკუპაციო გარნიზონის გაყვანა გამოიწვევდა საოკუპაციო ხარჯების მკვეთრად შემცირებას და უზრუნველყოფდა ბერლინის მოსახლეობის ხელში ქალაქის ბედის ნამდვილ გადაცემას. ეს აგრეთვე სერიოზული წვლილი იქნებოდა დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმეში.

ბერლინის გათიშვის შენარჩუნებისადმი მისწრაფება სრულიად ეწინააღმდეგება დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელთა ფორმალურ განცხადებას, თითქოს ისინი მზად არიან აღადგინონ ბერლინის ერთიანობა და მოაწყონ სრულიად ბერლინის თავისუფალი არჩევნები.

ვიღებ რა მხედველობაში ყოველივე ზემოხსენებულს, მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ თქვენ, უარყოფთ რა საბჭოთა წინადადებებს ქალაქის ერთიანობის აღდგენის შესახებ, ბერლინის გათიშვის თქვენს წინანდელ პოზიციაზე რჩებით".

შეიარაღებული შეტაკება პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე

კარაჩი, 24 ივნისი. (საკდესი). ლაჰორის გაზეთმა „პაკისტან ტაიმსმა" გადასცა კვეტიდან მიღებული ცნობა შეიარაღებული შეტაკების შესახებ, რაც 17 ივნისს მოხდა პაკისტანის მესაზღვრეთა რაზმებსა და ავღანელთა რაზმებს შორის პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე გვაზას მახლობლად, რომელიც დაახლოებით 40 მილზე მდებარეობს ჩამანის სამხრეთ-დასავლეთით (ბელუჯისტანის რაიონი).

გაზეთი იმოწმებს ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტოს ცნობას და აღნიშნავს, რომ ავღანელთა რაზმები შეეცადნენ გადასულიყვნენ პაკისტანის საზღვარზე, მაგრამ მათ სროლით შეხვდნენ და უკან დაახევინეს ავღანეთში. ამასთან ავღანელებს ერთგვარი ზარალი მოუვიდათ.

შემდგომი აღმავლობის საწინდარი

სოხუმის თეატრის გასტროლების გამო

ქართულ თეატრს დიდი წარსული აქვს, მაგრამ მის რევოლუციამდელ მოღვაწეებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ ეროვნული თეატრალური კულტურის ისეთ გაფურჩქვნაზე, როგორიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა. სოციალისტურმა წყობილებამ ყველა პირობა შექმნა კულტურისა და ხელოვნების უმაგალითო აღმავლობისათვის.

ჩვენი თეატრალური კულტურის აღმავლობის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია სოხუმის თეატრის გასტროლები თბილისში. სოხუმი საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით წინათ ყველაზე ნაკლებად იქცევდა ყურადღებას თავისი თეატრით. მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს მიექცა იქ ჯეროვანი ყურადღება თეატრალური ხელოვნების განვითარებას. ჩვენი პარტიის განუწყვეტელმა მზრუნველობამ, საბჭოთა მაყურებლის მაღალმა კულტურულმა დონემ თეატრალური კულტურის ძლიერი აღმავლობა გამოიწვია. ახლა ქართული საბჭოთა თეატრის, მისი მიღწევების სრული წარმოდგენა შეუძლებელია, თუ სხვა ჩვენს მოწინავე თეატრებთან ერთად არ გავითვალისწინებთ სოხუმის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას.

სოხუმის თეატრს მკაფიო ინდივიდუალური სახე აქვს. მის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვეობის ამსახველ პიესებს. კარგია ამ პიესების დადგმის ხარისხი. თეატრმა არა ერთი შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა და მაყურებლის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა. მისმა საგასტროლო სპექტაკლებმა ნათელყვეს, რომ თეატრის რეჟისურა დაკვირვებით მუშაობს (მთავარი რეჟისორი ს. ჭელიძე, რეჟისორები გ. ვასაძე, ა. გამსახურდია). სპექტაკლების მნიშვნელოვანი ნაწილი იდეურად გამახვილებულია და მხატვრულად საკმაოდ დახვეწილი. სპექტაკლების მხატვრული კომპოზიცია მთლიანია, მათი სიუჟეტის სცენურ განვითარებაში მუდამ იგრძნობა შინაგანი კანონზომიერება. თეატრის ხელმძღვანელობა ცდილობს ღრმად დაეუფლოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, მტკიცედ და თანმიმდევრულად გამოიყენოს ის თავის შემოქმედებით მუშაობაში. სპექტაკლები, საერთოდ, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ დეკორაციული (მხატვრები ნ. ყაზბეგი, ფ. ლაპიაშვილი) და მუსიკალური გაფორმებით (კომპოზიტორები რ. გაბიჩვაძე და დ. თორაძე).

თეატრის კოლექტივი შედგება საკმაოდ ნიჭიერი აქტიორებისაგან. ყურადღებას იქცევენ ბ. ზაქარიაძე, ლ. ჭელიძე, მ. ჩუბინიძე, ს. ყანჩელი, ლ. საყვარელიძე, ვ. კვაჭაძე, ვ. ნინიძე, ი. ჯაში, ზ. ლაფერაძე, მ. გაგნიძე და სხვ. თეატრმა ცხადყო საქმის სიყვარული და პროფესიული სიმწიფე. მაგრამ ამ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად თეატრს აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია, რათა მომავალში ის უფრო სწრაფად წავიდეს წინ.

ქართული საბჭოთა თეატრის ცხოვრებაში მთავარ მტკივნეულ საკითხს რეპერტუარი წარმოადგენს. დრამატურგია, როგორც სამართლიანად აღნიშნავს „პრავდა", არის თეატრალური ხელოვნების საფუძველი. რეპერტუარის საკითხს ჩვენი თეატრებისათვის გადამწყვეტი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სრულფასოვანი პიესებით, რომელნიც სწორად ასახავენ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების მოვლენებს, თეატრს შეუძლია გაამართლოს ხალხის კომუნისტურად აღზრდისათვის მებრძოლის მაღალი დანიშნულება. მოწინავე საბჭოთა თეატრების გამოცდილებამ ნათლად გვიჩვენა, რომ მათი წარმატება, მათი შემოქმედებითი ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე დრამატურგიასთან. თანამედროვეობა, სოციალისტური საზოგადოების მრავალფეროვანი ცხოვრება, საბჭოთა ადამიანის მდიდარი, კეთილშობილური ბუნება წარმოადგენს ახალი ხელოვნების განვითარების, მისი ნოვატორული ძიების დაუშრეტელ წყაროს. ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა შემოქმედი ჩვენს დიად სტალინურ ეპოქაში უნდა ეძებდეს და პოულობდეს ახალსა და სრულყოფილს. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აღმავლობაში.

როცა სოხუმის თეატრის რეპერტუარს ამ დიდი მოთხოვნის თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იქ ყველაფერი რიგზე არაა. მართალია, სოხუმის თეატრის რეპერტუარში ერთგვარად გაიზარდა თანამედროვეობის ამსახველი პიესების ხვედრითი წონა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი დადგმის ხარისხი, მაგრამ ამ პიესებს ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ მთავარი ადგილი თეატრის რეპერტუარში. მიმდინარე სეზონში დადგმული ათი პიესიდან მხოლოდ ოთხი ეხება თანამედროვეობას. ესენი ასახავენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომას და უცხოეთის მოწინავე საზოგადოების ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

ძველი რეპერტუარიდან პიესების შერჩევის დროს თეატრის ხელმძღვანელობა არა დგას სწორ თვალსაზრისზე. წარსულიდან ის იღებს უმთავრესად ისეთ პიესებს, რომლებსაც ნაკლები აღმზრდელობითი და ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, არაფრით არაა გამართლებული ბალზაკის „დედინაცვლის" დადგმა. ამ პიესის მორალური სენტენციები მიუღებელია თანამედროვე მაყურებლისათვის. გარდა ამისა, „დედინაცვალი" არ ჩაითვლება დიდი ფრანგი მწერლის კლასიკურ, მისი რეალისტური სტილისათვის დამახასიათებელ ნაწარმოებად. ამას გარდა, როცა „დედინაცვალს" გვერდში ამოუყენებთ ევროპის კლასიკოსების მეორეხარისხოვან კომედიებს და გ. წერეთლის რომანიდან არასწორად ინსცენირებულ პიესას „პირველ ნაბიჯს", სადაც რომანტიკულად არიან წარმოსახულნი ერემია და მისი მეგობრები, ამ ფსკერის ადამიანების ალვირახსნილი ყოფა, იქმნება ერთგვარად არაჯანსაღი ტონი, რომელიც ზიანს აყენებს თეატრის მაღალ იდეურ-მორალურ აღმზრდელობითს დანიშნულებას, მის ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და მაყურებლის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. სხვა მდგომარეობაში ზოგიერთი ამ პიესის დადგმა შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, მაგრამ როცა რეპერტუარში არა გვაქვს მსოფლიო დრამატურგიის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნი და სიმძიმის ცენტრი მხოლოდ ასეთ პიესებზე გადაგვაქვს, — ეს იმას მეტყველებს, რომ მემკვიდრეობის ათვისების დროს თეატრი სწორი თვალსაზრისით ვერ ხელმძღვანელობს.

„თავისებურმა" მასალამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა აიძულა თავის შემოქმედებითს სტილში უცხო ნაკადი შეეტანა, გადაეხვია საუკეთესო დადგმებისათვის დამახასიათებელი რეალიზმისათვის და „უპირატესობა" გროტესკისა და ფორმალიზმის ელემენტებისათვის მიეცა. ამ გარემოებას თეატრმა ყურადღება უნდა მიაქციოს. მან შემდეგშიც ის ჯანსაღი რეალისტური წარმოსახვითი გზა, ის ძლიერი ეპიკური მეტყველება უნდა განავითაროს, რაც საბჭოთა დრამატურგების ნაწარმოებთა დადგმებში გვიჩვენა. ესაა საბჭოთა თეატრის ჭეშმარიტი შემოქმედებითი გზა.

სოხუმის თეატრის კოლექტივი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა ორიგინალურ დრამატურგიულ ნაწარმოებთ. გულმოდგინებითა და გემოვნებით არის აღბეჭდილი თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები. მაგრამ აქაც გვინდა ზოგიერთ არსებით გარემოებაზე მივუთითოთ. თანამედროვე სპექტაკლების გაფორმების დროს ნაკლებად ჩანს სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მატერიალური და სულიერი კულტურის სიმდიდრე, საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობებში მომხდარი უდიდესი გარდატეხა. სცენაზე მოქმედ სულიერად და გონებრივად მომხიბვლელ საბჭოთა ადამიანებს არა აქვთ მონახული შესატყვისი ფონი. ისტორიულ სპექტაკლებს, საერთოდ, ჯერ კიდევ უფრო მდიდრულად აფორმებენ, ვიდრე თანამედროვეს. თეატრის მიერ წარმოსახული საკენის კოოპერატივი არაფრით განსხვავდება ძველი, კერძო ვაჭრის დუქნისაგან; საუკეთესო კოლმეურნე ხარატელთა სახლი და კარმიდამო, ბინის შინაგანი მოწყობა უფრო ადრინდელ გლეხს შეეფერება, ვიდრე შეძლებულად მცხოვრებ კოლმეურნეს.

თანამედროვე ადამიანების ხასიათის წარმოსახვის დროსაც ნაკლებად იგრძნობა სიახლე. მაღალმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა საბჭოთა ადამიანის ხასიათი. სოციალისტურმა სინამდვილემ თვისობრივად შეცვალა მისი ბუნება. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანებში მომხდარ ამ უდიდეს ცვლილებათა გადმოსაცემად არ გამოგვადგება ძველი ხერხები. ჩვენს წინ არიან, მაგალითად, აკმია და ზურია („ხარატაანთ კერა"). კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკმია მოწინავე ადამიანია. მაგრამ იგი მსჯელობს და ლაპარაკობს პლაკატურად, სიმართლე მის მხარეზეა, მაგრამ აკლია სითბო, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა, — ის ძალა, რამაც მაყურებელი უნდა გამსჭვალოს მისდამი თანაგრძნობით. ზურია გადატვირთულია მუქი ფერებით. იგი სევდასა და ნაღველს ისე ჰყავს შეპყრობილი, რომ ყველაფერი დავიწყებული აქვს. მსახიობი კიდევ უფრო ამუქებს ფერებს და საუკეთესო კოლმეურნის მაგივრად ვღებულობთ ძველი დროის ტრაგიკულ პერსონაჟს, რომლის სულიც წყვდიადითაა მოცული და პერსპექტივა არ გააჩნია, ამქვეყნიური ცხოვრებისათვის აღარ ვარგა.

დრამატურგები, თეატრალური ხელოვნების მუშაკები იმ უდავო ჭეშმარიტებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რომ საბჭოთა ადამიანი საზოგადოებრივი მოქალაქეა, სახელმწიფოებრივი მოღვაწე, იგი შეგნებულად მონაწილეობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, იგი გონებრივად იმდენად ამაღლებულია, შინაგანი ოპტიმიზმით იმდენად ძლიერია, რომ მას ვერავითარი პირადი სევდა ვერ ჩაუკლავს იმ პათოსს, რომელსაც იწვევს საზოგადოებრივი საქმისადმი სიყვარული, საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადება. ამიტომ ძველი ტრაგედიის ან დრამის უპერსპექტივო პერსონაჟების მსგავსი ინტერპრეტაცია პირადი სევდით შეპყრობილი საბჭოთა ადამიანისა სწორი არ არის. საბჭოთა ადამიანის პირადული ყოველთვის ემორჩილება საზოგადოებრივს. არა ერთ საბჭოთა ჭაბუკს, კოლმეურნეს, ინტელიგენტს დაეღუპა საყვარელი შვილი დიდი სამამულო ომის ფრონტზე. შვილის სიკვდილი მშობელში აუცილებლად იწვევდა სევდას, მაგრამ ამ სევდას არასოდეს სასოწარკვეთილებამდე არ მიჰყავდა იგი, რადგან სწამდა, რომ მისმა შვილმა გმირული სიკვდილით სახელოვანი წვლილი შეიტანა ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობის საქმეში. ზურგში დარჩენილი მშობელი არ ანელებდა ფიქრსა და ზრუნვას ხალხის სასარგებლო საქმისათვის. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ნათელი ფერებით მოსავს საბჭოთა მოქალაქის სახეს. პირადი სევდით სულიერად განადგურებულ ადამიანს კი არ შეუძლია ხალხის საქმე წარმატებით აკეთოს.

თეატრის სპექტაკლში „ხარატაანთ კერა" ეს გარემოება რეჟისორისა და მსახიობის მიერ არაა სათანადოდ გათვალისწინებული, რაც ამცირებს სპექტაკლის იდეურ ზემოქმედებას მაყურებელზე.

თეატრის ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს მსახიობებთან მუშაობაზე. თეატრი ნიჭიერი მსახიობებისაგან შედგება. უმრავლესობის თამაშში იგრძნობა შემოქმედებითი კულტურა, გემოვნება, ბევრს საკმაო სცენური გამოცდილებაც აქვს. მაგრამ კოლექტივი ძირითადად ახალგაზრდებისაგან შედგება და ცალკეულ მათგანს თავისებური ნაკლი აქვს. ფხიზელი დაკვირვება, ინდივიდუალური დეფექტების შესწავლა და მათი გამოსწორებისათვის ზრუნვა — თეატრის შემდგომი შემოქმედებითი ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სოხუმის თეატრი ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივია. იგი ნაყოფიერად მუშაობს. თუ განსაკუთრებით მის ნაკლოვანებებზე გავამახვილეთ ყურადღება, — ეს იმიტომ, რომ მათ გამოუსწორებლად შეუძლებელია შემდგომი წინსვლა. ეჭვი არ არის, მოპოვებული წარმატების გამო თეატრი თვითკმაყოფილებას არ მიეცემა, შეუპოვრად იბრძოლებს ნაკლოვანებათა დაძლევისათვის და ახალი საუკეთესო სპექტაკლებით ხელს შეუწყობს მაყურებლის კომუნისტურად აღზრდის დიდ საქმეს.

ეკ. ქარელიშვილი

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

ფხენიანი, 25 ივნისი. (საქდესი). დღეს დილით ფხენიანის რადიომ გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა:

25 ივნისს დილაადრიან სამხრეთ კორეის მარიონეტული მთავრობის ეგრეთწოდებული ეროვნული თავდაცვის ჯარებმა დაიწყეს მოულოდნელი შეტევა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე 38-ე პარალელის მთელ ხაზზე. მოწინაალმდეგე მოულოდნელად დაესხა თავს ჩრდილოეთ კორეას და ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე შემოიჭრა 1-დან 2 კილომეტრ სიღრმეზე 38-ე პარალელის ჩრდილოეთით ხაიდიუს დასავლეთით მდებარე რაიონში და კიმჩონისა და ჩერვონის რაიონებში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უბრძანა რესპუბლიკის დამცველ რაზმებს მოიგერიონ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე შემოჭრილი მოწინააღმდეგის იერიშები. ამჟამად რესპუბლიკის დამცველი ჯარები გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან და მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მტერს. იანიანის რაიონში რესპუბლიკის დამცველმა რაზმებმა მოიგერიეს ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე შემოჭრილი მოწინააღმდეგის იერიშები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა გააფრთხილოს სამხრეთ კორეის მარიონეტული მთავრობის ხელისუფალნი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ დაუყოვნებლივ არ შეწყვიტეს თავიანთი ავანტიურისტული სამხედრო მოქმედება 38-ე პარალელის რაიონში, მიღებულ იქნება გადამწყვეტი ზომები მოწინააღმდეგის დასათრგუნავად, და სამხრეთ კორეის ხელისუფალნი სრულ პასუხს აგებენ მთელი სერიოზული შედეგებისათვის, რაც ამ ავანტიურისტულ სამხედრო მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.

ფხენიანი, 25 ივნისი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასცა ახალი ცნობა:

სამხრეთ კორეის მარიონეტული მთავრობის ეგრეთწოდებული ეროვნული თავდაცვის იმ არმიის წინააღმდეგ გააფთრებული თავდაცვითი ბრძოლების შედეგად, რომელმაც ამა წლის 25 ივნისს განთიადზე დაიწყო უეცარი შეტევა 38-ე პარალელის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე, პარალელის მთელ ხაზზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველმა რაზმებმა შეაჩერეს მოწინააღმდეგის შემოტევა. რესპუბლიკის დამცველმა რაზმებმა, რომლებიც სახალხო არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, სავსებით მოიგერიეს მტრები, რომლებმაც 38-ე პარალელის ჩრდილოეთით შემოაღწიეს, და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. 25 ივნისს სახალხო არმია და დამცველი რაზმები ბევრ ადგილას გადავიდნენ 38 პარალელზე და წინ წაიწიეს პარალელის სამხრეთით 5-დან 10 კილომეტრამდე. ბრძოლები გრძელდება.

ასოშიეიტედ პრესის სეულელი კორესპონდენტის ცნობა

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, რომ ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალები უმნიშვნელო წინააღმდეგობას ხვდებიან და წინ მიიწევენ მთელ ფრონტზე. ჩრდილოეთ კორეის ორმა თვითმფრინავმა იფრინა სეულის თავზე. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კორეის ჯარები უკვე უწესრიგოდ ტოვებენ ნახევარკუნძულ ონჯინს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კორეის ჯარები შევიდნენ ქალაქ კაისონში. სააგენტოს ცნობით, ჩრდილოეთ კორეის ჯარები განსაკუთრებით ძლიერ უტევენ ჩუმჩონის რაიონში.

ჩრდილოეთ კორეის ჯარები გადასხდნენ აღმოსავლეთ სანაპიროს ორ პუნქტში 30 და 65 კილომეტრზე 38-ე პარალელის სამხრეთით. სააგენტო აღნიშნავს, რომ სამხრეთ კორეაში ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის მეთაური პოლკოვნიკი რაიტი ამჟამად იაპონიაში იმყოფება. როგორც მოელიან, იგი სეულს 27 ივნისს დაბრუნდება.

რეიტერის სააგენტო კორეის ამბების შესახებ

ლონდონი, 25 ივნისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, დღეს დილით 38-ე პარალელის რაიონში დაიწყო საომარი მოქმედება სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ჯარებს შორის. როგორც იუწყებიან, საომარი მოქმედება გრძელდება ჩუნჩონის, ონჯინისა და კაისენის რაიონში.

როგორც იუწყებიან, ჩრდილოეთ კორეის ძალებმა დაიკავეს სტრატეგიული რკინიგზის კვანძი კაისენი 40 მილზე სეულის ჩრდილოეთით. იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ კორეის ერთი პოლკი 10 ტანკით 20 გემიდან გადასხდა კანუნის რაიონში.

ჩუნჩონიდან (60 მილზე სეულის ჩრდილო-აღმოსავლეთით) მიღებული ცნობებით, ამ რაიონში გააფთრებული ბრძოლაა.

ლონდონი, 25 ივნისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა 25 ივნისს ნაშუადღევს დაიკავეს ქალაქი ონჯინი, რომელიც სეულის ჩრდილო-დასავლეთით 92 მილზე მდებარეობს. ცნობაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ კორეის ჯარები სამხრეთით ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ნახევარკუნძულ ონჯინს.

იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ კორეის ტანკები შევიდნენ ქალაქ პოჩონში, რომელიც სეულის ჩრდილო-აღმოსავლეთით 45 კილომეტრზეა. პოჩონში იწვის პოლიციის უბნები და საწყობები.

სხვა ცნობებში ნათქვამია, რომ ჯარები გადასხდნენ პიოდუკში, რომელიც პოჩონის ჩრდილოეთით 32 კილომეტრზეა, ხოლო პარტიზანები თავს იყრიან ანდონგში, 38-ე პარალელის სამხრეთით, 175 კილომეტრზე სეულის სამხრეთ-დასავლეთით ჩუნჩონსა და კანონს შუა.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კორეაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

პარიზი, 25 ივნისი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სამხრეთ კორეის კომუნიკეში, რომელიც სეულში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა შვიდ პუნქტში გადალახეს 38-ე პარალელი.

შებრულებაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს რადიოთი უბრძანეს დაბრუნდნენ თავიანთ პოსტებზე.

სეულის ქუჩებში თითქმის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, თუმცა ხალხი ჯგუფ-ჯგუფად კითხულობს გაზეთებსა და კომუნიკეებს.

სეულის ქუჩებით ჯარები სატვირთო ავტომანქანებით ჩრდილოეთისაკენ მიემურებიან.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონპროექტი უცხოელ ჯაშუშთა შეგროვების შესახებ

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 201 ხმით 81 ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ამერიკის არმიას ნებას აძლევს შეაგროვოს საზღვარგარეთ 2.500 უცხოელი, „რომლებსაც, როგორც ჩანს, ჯაშუშებად გამოიყენებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და მათ ახლოს". ამასთან დაკავშირებით იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ წარმომადგენელთა პალატის წევრმა შორტმა (რესპუბლიკელი, მისურის შტატი) პალატაში განაცხადა: „ვილაპარაკოთ პატიოსნად — ეს ბინძური საქმეა".

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

საფრანგეთის მთავრობის გადადგომა

პარიზი, 24 ივნისი. (საქდესი). დღეს ეროვნულ კრებაში კენჭი უყარეს რეზოლუციას მთავრობისადმი ნდობის შესახებ.

ბიდოს მთავრობამ ნდობის საკითხი აღძრა იმასთან დაკავშირებით, რომ განიხილავდნენ ეგრეთწოდებულ სახელმწიფო მოსამსახურეთა კატეგორიების გადასინჯვის პროექტს, ე. ი. ღონისძიებას, რომელიც დაკავშირებულია მოსამსახურეთა ხელფასის გადიდებასთან. ამ პროექტს დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ სხვადასხვა თათბირებზე და კომისიებში. იგი მწვავე დავას იწვევდა მთავრობასა და სოციალისტებს შორის, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ კატეგორიების გადასინჯვას, მაშინ როცა მთავრობა უარს ამბობდა ამაზე ამჟამად საბიუჯეტო ასიგნობათა უქონლობის გამო. თავიანთი დემაგოგიური პოლიტიკის ერთგული მემარჯვენე სოციალისტი ხელმძღვანელები უეცრად გახდნენ ფრანგი მშრომელების იმ ერთი კატეგორიის თავგამოდებული დამცველები, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე დაჩაგრულად, მაგრამ რომელშიც ბევრია ისეთი ამომრჩეველი, ვინც ჩვეულებრივად ხმას აძლევს სოციალისტური პარტიის კანდიდატებს.

მეორე მხრივ, მთავრობამაც არაჩვეულებრივი დაუთმობლობა გამოიჩინა. ამის გამო საფრანგეთის პრესას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ამ დაუთმობლობის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ჟორჟ ბიდოს სურს გადადგეს ისეთ მეორეხარისხოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც სახელმწიფო მოსამსახურეთა საკითხია, და არა მთავრობის პოლიტიკის რაიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, პოლიტიკისა, რომლის უსაფუძვლობაც ცხადი გახდა ხალხის ფართო მასებისათვის.

კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუკლომ, რომელიც დღეს ეროვნულ კრებაში გამოვიდა, განაცხადა, რომ კომუნისტები ხმას მისცემენ მთავრობის ნდობის შესახებ რეზოლუციის წინააღმდეგ, ვინაიდან სახელმწიფო მოსამსახურეთა საკითხი ეხება მთავრობის პოლიტიკას მთლიანად. ჟაკ დიუკლომ მწვავედ დაგმო მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ასეთივე პოზიცია დაიკავა პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის ჯგუფმა.

კენჭისყრის შემდეგ გამოცხადდა, რომ მთავრობისადმი ნდობის რეზოლუციას 582 დეპუტატიდან ხმა მისცა 230 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 352 დეპუტატმა.

პარიზი, 24 ივნისი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ჟორჟ ბიდომ დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.

იაპონიაში შეგროვებულია 1.225.600 ხელმოწერა სტოკჰოლმის მოწოდებაზე

შანხაი, 23 ივნისი. (საქდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობით, გაზეთი „აკახატა" წერს, რომ 19 ივნისს იაპონიაში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდებას ხელი მოაწერა 1.225.600 კაცმა.

კანადის მთავრობა ხელს უშლის კანადაში სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის დელეგაციის ჩასვლას

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საქდესი). 29 ივნისიდან 1 ივლისამდე ქალაქ ტორონტოში გაიმართება კანადის სლავთა პირველი კონგრესი. სრულიად კანადის სლავთა კომიტეტმა სსრ კავშირის სლავთა კომიტეტსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სლავთა კომიტეტებს თხოვნით მიმართა — გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ამ კონგრესზე. სსრ კავშირის სლავთა კომიტეტმა გადაწყვიტა კანადაში კონგრესზე დასასწრებად გაგზავნოს დელეგაცია ა. ს. გუნდოროვის (დელეგაციის ხელმძღვანელი), ნ. პ. ბაჟანის, მაქსიმ ტანკისა და ი. მ. ვოზნოის შემადგენლობით.

მაგრამ, როგორც იქ გამოირკვა, კანადის მთავრობამ, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირისა და კანადის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას, უარი თქვა შესასვლელი ვიზები მიეცა სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის დელეგაციისათვის ისე, რომ არც კი განმარტა თავისი უარი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებისადმი

ბერლინი, 24 ივნისი. (საქდესი). დღეს გამოქვეყნდა ადნის სააგენტოს ცნობა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლორადოს ხოჭოს ჩამოყრასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნოტები გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობასა და პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკების მთავრობებს. ნოტებში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა საგანგებო კომისია კოლორადოს ხოჭოს დიდი რაოდენობით გავრცელების გულმოდგინე გამოკვლევისათვის. ეს საგანგებო კომისია საპოლიციო აქტების, სოფლის მეურნეობის მუშაბის, გლეხებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ოქმების ჩვენების საფუძველზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტების ექსპერტიზის საფუძველზე მივიდა შემდეგ დასკვნამდე: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლორადოს ხოჭოს არაჩვეულებრივი გავრცელება იმით აიხსნება, რომ ხოჭოს ყრიან ამერიკელთა თვითმფრინავები, რომელთა ფრენის მარშრუტი ზუსტად არის დადგენილი.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სსრ კავშირის მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტაში აცხადებს: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას ბოროტი განზრახვით კოლორადოს ხოჭოს შემოტანა მიაჩნია მშვიდობიანი მშენებლობის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ხელყოფად და საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად. ამის შედეგად ერთგვარი საფრთხე მოელის კარტოფილის ნათესს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და, მაშასადამე, საფრთხეშია მოსახლეობის სასურსათო მომარაგება. ამასთანავე საფრთხე შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეზობელი ქვეყნებისათვის".

ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია აცნობოს სსრ კავშირის მთავრობას და პოლონეთის რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებს ეს დანაშაულებრივი აქტი და გაუგზავნოს მათ საგანგებო კომისიის ანგარიში დაწვრილებითი ინფორმაციის მიზნით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაცია

ბუდაპეშტი, 25 ივნისი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. დობიმ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვ. ულბრიხტმა ხელი მოაწერეს ერთობლივ პოლიტიკურ დეკლარაციას. დეკლარაციაში ნათქვამია:

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დელეგაცია ადასტურებენ, რომ ორივე მთავრობას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიული წყობილების შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა, ულმობელი ბრძოლა მშვიდობისა და დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ, ფაშიზმის ნაშთებისა და რეაქციის წინააღმდეგ, იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში მშვიდობის ბანაკის განმტკიცება, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იბრძვის ანტიფაშისტურ, დემოკრატიულ საფუძვლებზე ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მიდის წინ სახალხო დემოკრატიის გზით სოციალიზმის აშენებისაკენ.

ორივე ხალხმა ანგარიში გაუწია წარსულის სავალალო გამოცდილებას და იცის, რომ თავის განთავისუფლებას ისინი უნდა უმადლოდნენ დიდ საბჭოთა კავშირს, რომლის მხარდაჭერა ორი ქვეყნის აღმავლობისა და დემოკრატიული განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია.

ორივე ხალხი დიდ საბჭოთა ხალხთან დაკავშირებულია სამარადისო მეგობრობის კავშირით.

ორი ქვეყნის საერთო და საარსებო მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს იმპერიალისტთა ახალი სამხედრო გეგმების წინააღმდეგ მშვიდობის საერთაშორისო ბანაკის ბრძოლის წარმატება. მათ საერთო და საარსებო მნიშვნელოვან ინტერესად მიაჩნიათ შექმნა ერთიანი და აყვავებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელიც მშვიდობისმოყვარე და თავისუფალ ხალხებთან ძმური თანამშრომლობით მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია.

შეგნებული აქვთ რა, რომ სადავო თუ გადაუჭრელი საკითხები არ თიშავენ ორივე ქვეყანას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტეს ორი ქვეყნის ურთიერთობა ააგონ ახალ, მეგობრულ საფუძვლებზე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საერთო ბრძოლის ნიშნით და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს დემოკრატიულ შემოქმედებით შრომაში, ორი ხალხის კეთილდღეობის გადიდებაში, აგრეთვე მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ ურთიერთდახმარება, რასაც ერთმანეთს აღმოუჩენენ, შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს, აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ინტერესებს.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, ორივე მთავრობამ საჭიროდ ცნო, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გააფართოონ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებათა, საქონელგაცვლაზე შეთანხმებათა, აგრეთვე ფინანსურ და კულტურულ შეთანხმებათა დადების გზით".

საბჭოთა წარმომადგენელმა იაპონიაში მოითხოვა იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოდან გომინდანელთა წარმომადგენლის გაძევება

ტოკიო, 24 ივნისი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარეს სებოლდს ამა წლის 19 ივნისს გაუგზავნა დეპეშა და მოითხოვა იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოს შემადგენლობიდან გომინდანელთა წარმომადგენლის გაძევება და იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოში ჩინეთის წარმომადგენლად გენერალ ჯოუ ში-დის დანიშვნა.

ამასთან დაკავშირებით იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოს წევრის მოვალეობის შემსრულებელმა სსრ კავშირისაგან პოლკოვნიკმა პოლიაშენკომ 23 ივნისს სებოლდს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის მოთხოვნას სამოკავშირეო საბჭოს შემადგენლობიდან გომინდანელთა წარმომადგენლის გარიცხვისა და იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოში ჩინეთის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად გენერალ ჯოუ ში-დის ცნობის შესახებ.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილობრივი დემობილიზაცია

პეკინი, 25 ივნისი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — მიმდინარე წელს დაწყებულ იქნას ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ნაწილობრივი დემობილიზაცია.

საქართველოს 1950 წლის პირველობა ფეხბურთში

თვეზე მეტი გავიდა, რაც დაიწყო საქართველოს 1950 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან თბილისის ოფიცერთა სახლის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, 26 კომისრის სახელობის რაიონის, ქუთაისის „ტორპედოს", ხაშურის „ლოკომოტივის", ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, გორისა და სტალინირის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები. მეორე ჯგუფში თამაშობენ თბილისის (ორი გუნდი), რუსთავის, თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, გაგრის, ოჩამჩირის, გუდაუთის, ცხაკაიას, ბორჯომის, ახალქალაქის, ზესტაფონის, სამტრედიის, ბათუმის („ბურევესტნიკი") და წითელწყაროს ფეხბურთელთა კოლექტივები. რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების გუნდები მესამე ჯგუფში შედიან.

ფეხბურთელთა იმ კოლექტივს, რომელიც პირველ ჯგუფში გაიმარჯვებს, მიენიჭება საქართველოს 1950 წლის ჩემპიონის წოდება. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის დებულების შესაბამისად საქართველოს ჩემპიონი შეხვდება ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო გათამაშების მონაწილე იმ გუნდს, რომელიც უფრო დაბალ ადგილს დაიკავებს. ორ მატჩში მეტი ქულების დაგროვების შემთხვევაში ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონი მომავალ წელს მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში დამარცხებული გუნდის ნაცვლად. პირველ ჯგუფში უკანასკნელ ორ ადგილზე გამოსული გუნდები მეორე ჯგუფში გადავლენ, მათ ადგილს კი დაიკავებენ ის გუნდები, რომლებიც პირველ ორ ადგილს მოიპოვებენ მეორე ჯგუფში.

შეჯიბრება დაძაბული ბრძოლით ხასიათდება. პირველ ჯგუფში ლიდერია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც შვიდ თამაშში მოიგო ექვსი, წააგო ერთი, და მოაგროვა 12 ქულა. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელსაც რვა შეხვედრა ჰქონდა. მესამე ადგილზეა ქუთაისის „ტორპედო". 9-9 ქულა აქვს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონისა და ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელებს. უკანასკნელ ადგილზეა სტალინირის „დინამოს" გუნდი.

მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე

25 ივნისს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ცდკა"-სა და თბილისის „დინამოს" გუნდები.

მატჩი დამთავრდა „ცდკა"-ს გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით 3:1.

გუშინ, 26 ივნისს მოსკოვში შედგა ორი მატჩი. „სტალინეცის" სტადიონზე თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და „ვვს"-ის გუნდები. მატჩი დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:3. „დინამოს" მცირე სტადიონზე მოსკოვის „ტორპედოს" გუნდმა მოუგო ხარკოვის „ლოკომოტივის" გუნდს ანგარიშით 2:0.

მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა საქალაქო თათბირი

28 ივნისს, საღამოს 8 ს. და 30 წ., მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პრ. № 29) შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტისა და თბილისის საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების სამეცნიერო-საწარმოო თათბირი. თათბირი განიხილავს საწარმოების ბრუნვის საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და საამქროების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის მეთოდიკის საკითხებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში

28 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო ბაღში—(პლეხანოვის პროსპექტი, 123) გაიმართება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის და მისი ფილიალების კურსდამთავრებულთა IX გამოშვებისადმი მიძღვნილი საღამო.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **ქიმიის ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ა. წ. 6 ივლისს, საღამოს 8 საათზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ეკატერინე ნიკოლოზის ასული ზედგინიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Кинетика реакции глинозем-кремнезем в смеси окислов и в природных материалах в интервале 1050-1350°C"**.

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **გ. ციციშვილი**, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ს. ველერი**.

სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1950 წ. 12 ივლისს, დილის 11 საათზე აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს — **იპოლიტე მიხეილის-ძე ბერიშვილი** თემაზე — **„მასალები კოლონიური მემინდვრიას (Microtus socialis pael.) შესწავლისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ს. ქარუმიძე** და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ა. პაპავა**.

სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან — ნაშუადღევის 2 საათამდე (მარის ქ. № 35).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

1950 წლის 9 ივლისს ქალაქ ბარნაულში შედგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ ის ხელისმომწერლები, რომელთაც ხელზე ექნებათ ამ სესხის ობლიგაციები.

ამიტომ ხელისმომწერლებმა, რომელთაც რაიმე მიზეზით დღემდე არ მიუღიათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის ობლიგაციები მათ მიერ გადახდილი თანხის რაოდენობით, უნდა მიიღონ ეს ობლიგაციები ხელისმოწერის ადგილზე. ამისათვის ხელისმომწერლებმა უნდა მიმართონ იმ საწარმოს ან დაწესებულებას, სადაც წარმოებდა სესხის თანხების დაქვითვა, და მოითხოვონ თავიანთი ობლიგაციები. განცხადებაში სრულად უნდა იყოს აღნიშნული ხელისმომწერის გვარი, სახელი და მამის სახელი, აგრეთვე ზუსტი მისამართი.

ხელისმომწერის განცხადების მიღების შემდეგ საწარმოს ან დაწესებულების ბუღალტერიამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ცენტრალური შემნახველი სალაროდან სათანადო თანხის სესხის ობლიგაციები და გაგზავნოს ეს ობლიგაციები ფასიანი წერილით ხელისმომწერის მისამართით.

მოქალაქენო, მიიღეთ თქვენი ობლიგაციები!

მიიღეთ მონაწილეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის მოგებათა პირველ ტირაჟში!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

კოლმეურნეობათა გამგეობებისა და მოქალაქეთა საყურადღებოდ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1940 წ. 4 აპრილს მიღებული სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის კანონის შესაბამისად, სახდაზღვევის ორგანოები საქართველოს სს რესპუბლიკაში ა. წ. 1-ლ აგვისტომდე ატარებენ 1950 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების აღრიცხვას.

1. კოლმეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას ექვემდებარება:

ა) შენობები, ინვენტარი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, პროდუქცია, ნედლეული და მასალები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესები (მათ შორის სანერგეებსა, კვალსათბურებსა და სათბურებში მყოფიც), სანერგეები და ბაღების, საკენკრეებისა და ვენახების მოსავალი;

გ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი, თხა და ღორი 6 თვის ასაკიდან; ცხენი, აქლემი, ვირი, ჯორი და ირემი 1 წლის ასაკიდან; ხოლო აქლემის, ცხენისა და ვირის ჯიშიანი მოზარდეული 6 თვის ასაკიდან;

დ) თევზსაჭერი გემები.

2. მოქალაქეთა მეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას ექვემდებარება შემდეგი ქონება, რაც მათ პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით:

ა) შენობები;

ბ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 6 თვის ასაკიდან; ცხენი, აქლემი, ვირი, ჯორი, ცხვარი და თხა 1 წლის ასაკიდან; ღორი 9 თვის ასაკიდან.

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მინდვრის ნათესები.

კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარენო და მოქალაქენო!

მიაწოდეთ დაზღვევის მუშაკებს სრული და ზუსტი ცნობები თქვენი იმ ქონების შესახებ, რომელიც სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას ექვემდებარება.

გახსოვდეთ, რომ საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების სწორად აღრიცხვაზე დამოკიდებულია ზარალის შემთხვევაში დაზღვევის საზღაურის დროულად და სწორად გაცემა.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1950-51 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული საბჭოთა ლიტერატურა, 2. ძველი ქართული ლიტერატურა.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირნი არა უმეტეს 40 წლის ასაკისა, რომელნიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა შემოიტანოს განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საქმიანი ვრცელი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების საბუთი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და მეცნიერული შრომა ან რეფერატი, სპეციალურ საგანში, ორი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება 1 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები 5-დან 20 სექტემბრამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი (ძერჟინსკის ქ. № 8).

შვილი სერგო, რძალი ოლღა, შვილიშვილი ვლადილენ იუწყებიან **მარტინ პეტრეს-ძე იშხანოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27 ივნისს საღამოს 6 საათზე, თაუზის შესახვევი № 12 (ციროვის რაიონი). დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

რ. კვირკველია, კ. სოხაძე და ი. კალატოზიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამხანაგ სერგო იშხანოვს მისი მამის **მარტინ პეტრეს-ძე იშხანოვის** გარდაცვალების გამო.

ნინო ქავშია და ვანო ზოდელავა თანაგრძნობას უცხადებენ მარიამ და ვალოდია ბურჭულაძეებს **ქსენოფორე (ხეფე) ბესარიონის-ძე ბურჭულაძის** გარდაცვალების გამო.

კასპის განათლების განყოფილების მუშაკები ვ. ალექსიძე, ა. ბეჟანიშვილი, ი. აბესაძე, ნ. დავითიშვილი, ს. ხაფავა, ივ. ჭურაძე იუწყებიან **ხეფე ბესარიონის-ძე ბურჭულაძის** გარდაცვალებას.

ქსენია და პეჭიკო ლორიები შვილებით აბესალომით და ეთერით, სიძე მემედ მიქელაძე იუწყებიან ბიძის **ხეფე ბურჭულაძის** გარდაცვალებას.

№ 1 სამშობიარო სახლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ კ. ფ. ქიქინაძეს მისი სიმამრის **ზაქარია კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალების გამო.

და ლიდა, სიძე სიმონ, დისწულები ქეთო და მარიამ ნასყიდაშვილები, სიძე ვ ლომიძე იუწყებიან **ილია დიმიტრის-ძე ნებიერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VI, 6½ ს. საბჭოს, 152.

ა. ხაბურზანია, ე. ბარათაშვილი, ი. ვართაგავა, ი. ფანცხავა ოჯახებით იუწყებიან **ზაქარია კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VI, 6 ს. მარის, 16.

საქლითონმრეწვკავშირის ქვის ნაკეთობის კანტორის თანამშრომლები და სამუშაოთა მწარმოებლები იუწყებიან კ. თ. სოხაძის დედის **ანას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-VI გორისუბანში (ამბროლაურის რაიონი).

ს. ი. კოტანჯიანი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ს. მ. იშხანოვს მისი მამის **მარტინ პეტრეს-ძე იშხანოვის** გარდაცვალების გამო.

ქეთო, შოთა, ვახტანგ, რუსიკო ბოკერიები თანაგრძნობას უცხადებენ ს. მ. იშხანოვს მისი მამის **მარტინ პეტრეს-ძე იშხანოვის** გარდაცვალების გამო.

ნატა და გიორგი მიხანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ სერგო იშხანოვს მისი მამის **მარტინის** გარდაცვალების გამო.

ოქროპირ ხევსურიანი და სერგო ზერაკიძე ოჯახებით იუწყებიან ექიმ გ. კლდიაშვილის მამის **ნიკოლოზ ვასილის-ძე კლდიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VI, 8 ს. გამოსვენება 29-VI, 6 ს. სიათნოვას, 15.

აკადემიკოს მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ი. შენგირაძეს მისი დედის **ეფროსინე შენგირაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 27-VI ქუთაისში, ბარათაშვილის, 58.

ა. მ. თოიძე, ვ. გ. და მ. ვ. მაჭავარიანები იუწყებიან **ზაქარია კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას.

მეუღლე კონსტანტინე, შვილები ნუნუ, ლილი, თამილა, სიძე აფრასიონ ებანოიძე ოჯახით იუწყებიან **კატუშა გიორგის ასულ კილაძე-გიგიბერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-VI ზესტაფონში, წულუკიძის, 1.

ლ. მჭედლიშვილი, ც. ჭუმბაძე, გ. ყიფიანი, გ. გიორგაძე, შ. ხევსურიანი, ა. კანდელაკი, დ. მონიავა, ჯ. ჩიხლაძე, გ. ძნელაძე, ო. ქორიძე იუწყებიან **გივი (ნოდარ) დავითის-ძე შალიბაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VI, 6½ ს. ვარაზის ხევი, 6.

შვილი მარიკა, სიძე ვლასი ტყეშელაშვილი, შვილიშვილი ზეინაბ იუწყებიან **ნიკო დავითის-ძე ორთოიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VI, 8 ს. გამოსვენება 29-VI, 6 ს. ჯანაშიას, 28.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00470